ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

N 17/21 **29.12.2021წ.**

ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქ. N4-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.19.36.014.159, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე

ექსპერტი: მარია მარსაგიშვილი
ექსპერტი: მაია ჩხაიძე

თბილისი 2021

დამკვეთი: ლევან მამისაშვილი
საპროექტო ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ. N4, მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N01.19.36.014.159
საპროექტო ობიექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
მშენებლობის სახეობა: ახალი მშენებლობა

წინამდებარე ექსპერტიზა შესრულებულია მოქ. ლევან მამისაშვილთან 2021 წლის 28 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით განსაზღვრული საექსპერტო შეფასება ადგენს III, IV კლასების შენობა-ნაგებობების დეტალური არქიტექტურული პროექტის შესაბამისობას „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან.

წინამდებარე საექსპერტო დასკვნა ადგენს ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქ. N4-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.19.36.014.159, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დეტალური არქიტექტურული პროექტის „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დეტალური არქიტექტურული პროექტის (შემდგომში - „პროექტი“) შესაბამისობას „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან (შემდგომში - „წესები“).

ექსპერტიზას დაექვემდებარა დამკვეთის მიერ ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტი. საექსპერტო დასკვნა მომზადებულია 2 თანაბარ ეგზემპლარად, სკანირებული ელექტრონული ვერსიის სახით pdf ფორმატში, ექსპერტიზის წინაშე წარდგენილი არქიტექტურული პროექტი შენახულია ექსპერტების მიერ, სქემატური ნახაზები თანდართულია დამკვეთისთვის გადაცემული საექსპერტო დასკვნის ელექტრონულ ვერსიაზე და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

წინამდებარე საექსპერტო დასკვნა ვრცელდება მხოლოდ დამკვეთის მიერ ექსპერტიზის წინაშე წარდგენილ არქიტექტურულ პროექტზე. ექსპერტიზას დაქვემდებარებულ არქიტექტურულ პროექტში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში საჭიროა შესრულდეს შეცვლილი არქიტექტურული პროექტის ხელახალი საექსპერტო შეფასება. ექსპერტები პასუხს არ აგებენ არქიტექტურულ პროექტში ნებისმიერი ცვლილების, ასევე მშენებლობის პროცესში წინამდებარე ექსპერტიზას დაქვემდებარებული პროექტისგან განსხვავებით სამუშაოების განხორციელების შედეგებზე.

შემადგენლობა:

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება;
2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;
5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6. მისაწვდომობის შეფასება;
7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8. სახურავის ანაწყობების შეფასება;
9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების და შემომზღუდავების შეფასება;
10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება;
12. კიბეებისა და მოაჯირების შეფასება;
13. შენობის განიავებისა და განათების შეფასება;
14. ლიფტების შეფასება.
15. შემოზღუდული გარაჟის შეფასება.

დანართი: ექსპერტიზას დაქვემდებარებული საპროექტო დოკუმენტაცია - 42 ფურცელი

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება

პროექტით გათვალისწინებულია 5 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სავაჭრო ფართობით და მიწისქვეშა ავტოფარეხით), მშენებლობა. ასევე ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემისთვის განკუთვნილი მიწისქვეშა წყლის ავზი.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დააკავებულობა კლასიფიცირებულია წესების 310.4 ქვეთავის შესაბამისად როგორც საცხოვრებელი ჯგუფი სც-2. სავაჭრო ფართობების დააკავებულობა კლასიფიცირებულია წესების 309-ე ქვეთავის შესაბამისად როგორც სავაჭრო ჯგუფი სვ. შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი კლაციფიცირებულია წესების 311.3 ქვეთავის შესაბამისად როგორც მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2. ავტოსაშხეფი სისტემისთვის განკუთვნილი მიწისქვეშა წყლის ავზი და სატუმბო ოთახი კლაციფიცირებულია წესების 312-ე ქვეთავის შესაბამისად როგორც დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს.

1004.1.2 ქვეთავის შესაბამისად, ფიქსირებული დასაჯდომების არმქონე ფართობების შემთხვევაში, დაკავებულობის დატვირთვა არ უნდა იყოს ნაკლები რაოდენობაზე, რომლის გამოსათვლელად იატაკის ფართობი იყოფა დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, რომელიც სივრცის ფუნქციას 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად ენიჭება. 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი საცხოვრებელი ბინებისთვის განკუთვნილ სართულებზე არის 18.6 (მთლიანი), სავაჭრო ფართობებისთვის განკუთვნილ სართულზე - 2.8 (მთლიანი), შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟისთვის - 18.6 (მთლიანი), ხოლო -2.50 ნიშნულზე დონეზე გათვალისწინებული სატუმბო ოთახისთვის - 27.9 (მთლიანი).

პროექტში დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორის მიხედვით ანგარიშის შედეგად დაკავებულობის დატვირთვა სართულებზე შემდეგია:

<u>-2.50 ნიშნულზე: 36.9 (სწ-2), 1.7 (დს)</u>

<u>±0.00 ნიშნულზე:</u> 243.9 (სვ)

<u>+3.50, +6.37, +9.24 +12.11 ნიშნულებზე:</u> 42.3 (სც-2)

დაკავებულობების ჯგუფების კლასიფიკაცია შეესაბამება წესების მე-3 თავის მოთხოვნებს. დაკავებულობების დატვირთვები განსაზღვრულია მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება

შენობის კონსტრუქციული ტიპის შეფასება შესრულებულია წესების მე-6 და მე-7 თავების მიხედვით. წესებით განსაზღვრული კონსტრუქციის ტიპების კლასიფიკაციის შესაბამისად პროექტის მიხედვით არჩეულია შენობის IB ტიპის კონსტრუქცია. შენობის ელემენტებისათვის IB ტიპის კონსტრუქციისთვის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები განსაზღვრულია 601-ე ცხრილის საფუძველზე: ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო - 2 სთ, მზიდი კედლები (გარე და შიგა) - 2 სთ, არამზიდი კედლები და ტიხრები (შიგა) - 0 სთ, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - 2 სთ, სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - 1 სთ (არამზიდი კედლებისა და ტიხრების (გარე) მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისთვის იხ. საექსპერტო დასკვნის მე-7 პუნქტი).

704.10 ქვეთავის შესაბამისად, გარე კედლების საზღვრებში ან შენობის ან ნაგებობის გარეთ მდებარე სტრუქტურულ მზიდ ნაწილებს უნდა ჰქონდეს ცეცხლმედეგობის ყველაზე მაღალი ხარისხი, შემდეგნაირად განსაზღვრული: 1. როგორც 601-ე ცხრილშია მოთხოვნილი შენობის

ელემენტის ტიპისთვის, შენობის კონსტრუქციის ტიპის საფუძველზე; 2. როგორც 601-ე ცხრილშია მოთხოვნილი გარე მზიდი კედლებისათვის კონსტრუქციის ტიპი საფუძველზე; 3. როგორც 602-ე ცხრილშია მოთხოვნილი გარე კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საფუძველზე.

601-ე ცხრილის საფუძველზე, პროექტის მიხედვით ძირითად სტრუქტურულ ჩარჩოს გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი. 602-ე ცხრილის მიხედვით ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების საფუძველზე მაქსიმალური ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 1 სთ-ს (იხ. მე-7 პუნქტი – „გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება“) და სტრუქტურული გარე ნაწილებისთვის აუცილებელი ცეცხლმედეგობის ხარისხი არ აღემატება IB ტიპის კონსტრუქციისთვის 601-ე ცხრილით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

არჩეული კონსტრუქციის ტიპი IB შესაბამისობაშია საექსპერტო დასკვნის მე-3 პუნქტში შეფასებულ შენობის სიმაღლისა და ფართობის მაჩვენებლებთან, ხოლო სტრუქტურული გარე ნაწილების ცეცხლმედეგობა აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საფუძველზე განსაზრვრულ მოთხოვნებს.

შენიშვნა 1: *სადაც ცეცხლმედეგობა 601-ე ცხრილის მიხედვით უნდა განისაზღვროს, შენობის ელემენტები 703.2 ქვეთავის შესაბამის დებულებებს უნდა შეესაბამებოდეს.*

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება

შენობის მაქსიმალური სიმაღლისა და ფართობის შეფასება შესრულებულია წესების მე-5 თავის მიხედვით.

პროექტის მიხედვით შენობა წარმოადგენს შერეული დაკავებულობის შენობას და სვ, სც-2, სწ-2 და დს დაკავებულობები არის გამიჯნული დაკავებულობები 508.4 ქვეთავის შესაბამისად.

508.4.1 ქვეთავის შესაბამისად, გამიჯნული დაკავებულობები უნდა კლასიფიცირდეს ინდივიდუალურად 302.1 ქვეთავის მიხედვით. თითოეული გამიჯნული სივრცის მიმართ წესების მოთხოვნები უნდა შესრულდეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ კლასს მიეკუთვნება შენობის იმ ნაწილის დაკავებულობა. 508.4.2 ქვეთავის შესაბამისად, თითოეულ სართულზე შენობის ფართობი ისეთი უნდა იყოს, რომ თითოეული გამიჯნული დაკავებულობის იატაკის რეალური ფართობების ჯამი არ აღემატებოდეს ამ დაკავებულობისათვის დასაშვებ ფართობს. 508.4.3 ქვეთავის შესაბამისად, თითოეული დაკავებულობა უნდა შეესაბამებოდეს 503.1 ქვეთავში განსაზღვრული სიმაღლის ზღვრებს, რომლებიც გამომდინარეობს შენობის კონსტრუქციის ტიპიდან. 508.4.4 ქვეთავის შესაბამისად, ცალკეული დაკავებულობები მომიჯნავე დაკავებულობებისგან უნდა გაიმიჯნოს 508.4 ცხრილის შესაბამისად.

503-ე ცხრილის შესაბამისად, კონსტრუქციის IB ტიპისთვის, შენობის მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონის ზემოთ არის 48.8 მ, სვ და სც-2 დაკავებულობების ფართობი თითოეულ სართულზე არის შეუზღუდავი და სართულების რაოდენობა მიწის დონის ზემოთ არის 11, სწ-2 დაკავებულობის მაქსიმალური ფართობი თითოეულ სართულზე არის 7340 კვ.მ და სართულების რაოდენობა მიწის დონის ზემოთ არის 11, ხოლო დს დაკავებულობის მაქსიმალური ფართობი თითოეულ სართულზე არის 3300 და სართულების რაოდენობა მიწის დონის ზემოთ არის 5.

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი: შენობის სიმაღლე არის 22.87 მ, სართულების რაოდენობა მიწის დონის ზემოთ - 5, სართულების ფართობებია:

<u>-2.50 ნიშნულზე: 685.8 კვ. მ (სწ-2), 47.2 კვ.მ (დს)</u>

<u>±0.00 ნიშნულზე:</u> 696.3 კვ.მ (სვ)

+3.50, +6.37, +9.24 +12.11 ნიშნულებზე: 787.7 კვ.მ (სც-2)

პროექტით გათვალისწინებული შენობის სიმაღლე, სართულების ფართობი და სართულების რაოდენობა არ აჭარბებს 503-ე ცხრილში განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს და აკმაყოფილებს მოთხოვნებს გამიჯნული დაკავებულობებისადმი (დაკავებულობების გამმიჯნავების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისთვის იხ. საექსპერო შეფასების მე-9 პუნქტი).

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება შესრულებულია წესების მე-10 თავისა და 403.5 ქვეთავის მიხედვით.

1021.2 ქვეთავის თანახმად, ნებისმიერ სართულს ან დაკავებულ სახურავს უნდა ემსახურებოდეს ორი გასასვლელი ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე ან პანდუსი, თუ არსებობს ქვემოთ მოცემული პირობებიდან ერთ-ერთი: 1. დაკავებულობის დატვირთვა ან საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა აღემატება 1021.2(1) ან 1021.2(2) ცხრილში განსაზღვრულ რაოდენობებს; 2. გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილი აღემატება 1021.2(1) ან 1021.2(2) ცხრილში განსაზღვრულს, როგორც დადგენილია 1016.1 ქვეთავის დებულებების შესაბამისად; 3. შენობებზე ან ნაგებობებზე შვეულმფრენის დასაჯდომად მოწყობილ ფართობებს უნდა ემსახურებოდეს ორი გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე ან გასასვლელთან მისადგომის პანდუსი.

1021.2.4 ქვეთავის თანახმად, ნებისმიერი სართულიდან ან დაკავებული სახურავიდან, სადაც დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 501-დან 1000-მდე (1000-ის ჩათვლით), უნდა მოეწყოს გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის სამი გზა-კარი ან პანდუსი, რომლებიც სხვა სართულების გასასვლელებთან მისადგომს უზრუნველყოფს. ნებისმიერი სართულიდან ან დაკავებული სახურავიდან, სადაც დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 1000-ზე მეტს, უნდა მოეწყოს გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის ოთხი გზა-კარი ან პანდუსი, რომლებიც სხვა სართულების გასასვლელებთან მისადგომს უზრუნველყოფს.

პროექტის მიხედვით, სვ დაკავებულობის სართულზე არის 4 გასასვლელი, სც და სწ-2 დაკავებულობების სართულებზე გასასვლელს წარმოადგენს ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, **პროექტში დაკმაყოფილებულია სართულებიდან გასასვლელებთან დაკაშირებული მოთხოვნები.**

1015.1 ქვეთავის თანახმად, ნებისმიერი სივრციდან გამომავალი ორი გასასვლელის გზა-კარი ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კარი საჭიროა, თუ არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილ პირობათაგან ერთ-ერთი: 1. სივრცის დაკავებულობის დატვირთვა აღემატება 1015.1 ცხრილში განსაზღვრულ მნიშვნელობებს. 2. გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკი არ აკმაყოფილებს 1014.3 ქვეთავში განსაზღვრულ შეზღუდვებს. 3. თუ საჭიროა 1015.3, 1015.4, 1015.5 ან 1015.6 ქვეთავების მიხედვით. თუ შენობა მოიცავს შერეულ დაკავებულობებს, თითოეული ცალკეული დაკავებულობა უნდა აკმაყოფილებდეს ამ დაკავებულობისთვის განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნებს. 1004.1 ქვეთავის დებულებების მიხედვით, მომიჯნავე დაკავებულობების საერთო დატვირთვა შეძლებისდაგვარად უნდა იყოს გათვალისწინებული. 1015.1 ცხრილის შესაბამისად, სც ჯგუფის სივრცეებში შესაძლებელია მოეწყოს 1 გასასვლელი, თუ დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება სც ჯგუფში 10-ს, სვ და დს ჯგუფებში - 49-ს. პროექტის მიხედვით სც-2 დაკავებულობის თითოეული ბინის დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 10-ს, ხოლო დს დაკავებულობის სატუმბო ოთახის

დაკავებულობის დატვირთვაა - 49-ს, შესაბამისად მათ გააჩნიათ 1 გასასვლელი. სვ და სწ-2 დაკავებულობების ფართობებს გააჩნიათ სულ მცირე 2 გასასვლელი. 1015.3, 1015.4, 1015.5 ან 1015.6 ქვეთავები არ მოიცავს პროექტში გათვალისწინებულ ფართობებზე ორი გზა-კარის მოწყობას. **პროექტში დაკმაყოფილებულია სივრციდან გასასვლელების რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.**

1015.2.1 ქვეთავის თანახმად, თუ გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის ორი გზა-კარი უნდა გამოდიოდეს გასასვლელთან მისადგომის ნებისმიერი მონაკვეთიდან, გასასვლელის კარები ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კარები უნდა განთავსდეს ორი გზა-კარის საჭიროებიანი შენობის ან ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტ მანძილზე. გასასვლელის კარებს ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კარებს შორის მანძილი სწორხაზოვნად უნდა გაიზომოს. ურთიერთშემხვედრი ან მაკრატელა კიბეები ერთ გასასვლელ კიბედ უნდა ჩაითვალოს. პროექტის მიხედვით, გასასვლელის გზა-კარებს შორის სწორხაზოვნად გაზომილი მანძილი სწ-2 დაკავებულობაში არის 22.4 მ, სვ დაკავებულობაში - 33.7 მ და სც-2 დაკავებულობაში - 25.08 მ, რაც მეტია სართულის მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის (სართულზე -2.50 ნიშნულზე – 44.7 მ, ±0.00 ნიშნულზე - 44.7 მ, დანარჩენ სართულებზე - 47.9 მ) ნახევარზე (22.35 მ, 22.35 მ და 23.95 მ შესაბამისად), შესაბამისად, **გასასვლელების და შიგა გასასვლელის გზა-კიბეების გზა-კარების დაშორებულობასთან დაკავშირებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

1009.2 ქვეთავის თანახმად, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები უნდა გადიოდეს პირდაპირ შენობის გარეთ ან უნდა გრძელდებოდეს შენობის გარე მხარემდე გასასვლელის გზა-დერეფნის საშუალებით, რომელიც აკმაყოფილებს 1023-ე ქვეთავის მოთხოვნებს, გარდა 1027.1 ქვეთავში ნებადართული შემთხვევისა. **პროექტის მიხედვით, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები გადის პირდაპირ შენობის გარეთ.**

1007.1 ქვეთავის თანახმად, მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს ამ ქვეთავის მოთხოვნებს. მისაწვდომ სივრცეებს უნდა ჰქონდეს, არანაკლებ, ერთი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება. თუ 1015.1 ან 1021.1 ქვეთავების მიხედვით აუცილებელია ერთზე მეტი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, სივრცის ყოველ მისაწვდომ ნაწილს უნდა ემსახურებოდეს, არანაკლებ, ორი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება.

1007.2.1 ქვეთავის თანახმად, შენობებში, სადაც აუცილებელი მისაწვდომი იატაკი შენობიდან გამოსასვლელის დონიდან ოთხზე მეტი სართულით ზემოთ ან ქვემოთაა 1007.4 ქვეთავის შესაბამისი ლიფტები, სულ მცირე, ერთი აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უნდა იყოს. 1007.4 ქვეთავის თანახმად, მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, ლიფტები უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში. სათადარიგო ელექტრომომარაგება 1703-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა უზრუნველყონ. 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართობიდან ან თარაზული გასასვლელიდან ლიფტს უნდა ჰქონდეს მისაწვდომი. ამავე ქვეთავის გამონაკლისის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ლიფტებს არ მოეთხოვება მისაწვდომობა თავშესაფრის ფართობიდან ან თარაზული გასასვლელიდან შენობებში ან ნაგებობებში, რომლებიც მთლიანად 903.3.1.1 ან 903.3.1.2 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემითაა აღჭურვილი.

პროექტის მიხედვით ყველა სართულს გააჩნია სულ მცირე 2 მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, მათ შორის, გათვალისწინებული 2 მისაწვდომი ლიფტის მოწყობა.

შენიშვნა 2 : *ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში. სათადარიგო ელექტრომომარაგება 1703-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა უზრუნველყონ.*

1007.3 ქვეთავის შესაბამისად, იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, სართულებს შორის მდებარე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის, სულ მცირე, 1,2 მ უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს ან იატაკის დონეზე გადიდებული ბაქნის საზღვრებში მდებარე თავშესაფრის ფართობს, ან უნდა ჰქონდეს მისადგომი 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართობიდან, ან ჰორიზონტალური გასასვლელიდან. გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეები, რომლებიც აკავშირებს ერთი სართულის დონეებს, მისაწვდომი გასასვლელი საშუალებების ნაწილი არ უნდა იყოს.

1007.6.1 ქვეთავის შესაბამისად, თითოეული თავშესაფრის ფართობი უნდა მოიცავდეს ერთი ეტლისათვის საჭირო სივრცეს, რომლის ზომებია 76 სმ × 1,3 მ, ყოველი 200 დამკავებლისათვის ან მათი ნაწილისათვის, თავშესაფრის ფართობისა და იმ ფართობების დაკავებულობის დატვირთვის გათვალისწინებით, რომელთაც ემსახურება თავშესაფრის ფართობი. ეტლისათვის საჭირო ასეთი სივრცეები არ უნდა ამცირებდეს გასასვლელის აუცილებელ სიგანეს. თავშესაფრის ფართობზე ეტლისთვის საჭირო ნებისმიერ სივრცესთან მისაწვდომი არ უნდა ჩაიხერგოს ერთზე მეტი მომიჯნავე ეტლისთვის საჭირო სივრცით.

პროექტის მიხედვით, მისაწვდომ სივრცეებს გააჩნია წესებით მოთხოვნილი მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები. გამოსასვლელის დონეზე გათვალისწინებული ორივე გასასვლელი წარმოადგენს მისაწვდომ გასასვლელებს. სც-2 დაკავებულობის სართულებზე კიბეების შემომზღუდავებში, ხოლო სწ-2 დაკავებულობაში - ლიფტის ფოიეში გათვალისწინებულია ფართობი საკმარისია 76 სმ × 1.3 მ თავშესაფრის ფართობები.

1027.4.1 ქვეთავის თანახმად, გასასვლელის შიგა ეზოების მინიმალური სიგანე უნდა განისაზღვროს 1005.1 ქვეთავის მიხედვით, მაგრამ არ უნდა იყოს 1,1 მ-ზე ნაკლები, გარდა აქ განსაზღვრული შემთხვევისა. გასასვლელის შიგა ეზოები, რომლებიც სც-3 და დს ჯგუფის დაკავებულობებს ემსახურება, არ უნდა იყოს 90 სმ-ზე ნაკლები სიგანისა. გასასვლელის შიგა ეზოების აუცილებელი სიგანე ჩაუხერგავი უნდა იყოს 2,15 მ სიმაღლემდე. თუ გასასვლელის შიგა ეზოების სიგანე აღემატება მინიმალურ აუცილებელ სიგანეს და ასეთი გასასვლელის შიგა ეზოების სიგანე შემდეგ მცირდება გასასვლელისკენ სავალი ბილიკის გასწვრივ, სიგანე უნდა შემცირდეს თანდათანობით. სიგანის შეცვლის ადგილას უნდა მოთავსდეს, არანაკლებ, 90 სმ სიმაღლის გადამღობი ტიხარი და არ უნდა იქმნებოდეს 30°-ზე მეტი კუთხე გასასვლელის შიგა ეზოს ღერძის მიმართ გასასვლელისკენ სავალი ბილიკის გასწვრივ. გასასვლელის შიგა ეზოს სიგანე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს აუცილებელ მინიმუმზე ნაკლები. 1027.4.2 ქვეთავის თანახმად, თუ შენობის ან მისი ნაწილის მომსახურე გასასვლელის ეზოს სიგანე ნაკლებია 3,0 მ-ზე, გასასვლელის შიგა ეზოების კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა იყოს, არანაკლებ, 1 საათი, 3,0 მ მანძილზე შიგა ეზოს იატაკის ზემოთ. ასეთ კედლებში დატანებული ღიობები დაცული უნდა იყოს ღიობის დამცავებით, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი არ არის ¾ საათზე (45 წუთზე) ნაკლები. 1027.5 ქვეთავის შესაბამისად, შენობიდან გამოსასვლელი უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოებრივ გზასთან პირდაპირ და დაუბრკოლებელ მისადგომს.

პროექტის მიხედვით, გასასვლელები უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებრივ გზას, მათ შორის, რეგისტრირებული სერვიტუტის საშუალებით, რომლის სიგანეც აღემატება 12 მ-ს. გასასვლელის (შიგა) ეზოს მინიმალური სიგანე არემატება 3 მ-ს. **პროექტში დაკმაყოფილებულია შენობიდან გამოსასვლელებთან დაკაშირებული მოთხოვნები.**

1014.1 ქვეთავის თანახმად, გასასვლელთან მისადგომი 1003 – 1013 ქვეთავების შესაბამის დებულებებს უნდა აკმაყოფილებდეს. გასასვლელთან მისადგომი 1014 – 1019 ქვეთავების შესაბამისად უნდა მოეწყოს. 1014.2 ქვეთავის თანახმად, გასასვლელი, სადაც ხვდები შუალედური სივრცეების გავლით, ამ ქვეთავის შესაბამისად უნდა მოეწყოს. პროექტის მიხედვით, არ არის გათვალისწინებული გასასვლელთან მისადგომი შუალედური სივრცეების გავლით. 1014.2.1 ქვეთავის თანახმად, თუ შენობის ან ნაგებობის რომელიმე ერთი სართული დაკავებული აქვს ერთზე მეტ მფლობელს, მფლობელობაში არსებული თითოეული სივრცე, საცხოვრებელი და საძინებელი ერთეული უზრუნველყოფილი უნდა იყოს გასასვლელთან მისადგომით, რომელიც არ გაივლის მფლობელობაში არსებულ მომიჯნავე სივრცეზე, საცხოვრებელ და საძინებელ ერთეულებზე. პროექტის მიხედვით, თითოეულ სართულზე მდებარე ერთ მფლობელობაში არსებულ ყველა ბინას დამოუკიდებელი გასასვლელი გააჩნია საერთო დერეფანში და გასასვლელთან მისადგომი არ გადის მფლობელობაში არსებულ მომიჯნავე სივრცეზე, საცხოვრებელ და საძინებელ ერთეულებზე.

1014.3 ცხრილის მიხედვით, გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკი სვ და სც-2 დაკავებულობებში არ უნდა აღემატებოდეს 23-ს, სქ დაკავებულობაში ავტოსაშხეფი სისტემის გარეშე 30-ზე ნაკლები ან ტოლი დაკავებულობის დატვირთვისას არ უნდა აღემატებოდეს 30-ს, ხოლო 30-ზე მეტი დაკავებულობის დატვირთვისას არ უნდა აღემატებოდეს 23-ს. პროექტის მიხედვოთ, გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკი არ აღემატება წესებით განსაზღვრულს.

პროექტის მიხედვით, გასასვლელთან მისადგომები აკმაყოფილებს 1014-ე ქვეთავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს გასასვლელთან მისადგომებისადმი.

1016.2 ცხრილით განსაზღვრული გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი სც და სვ დაკავებულობებისთვის შეადგენს 60 მ-ს ავტოსაშხეფი სისტემის გარეშე და 75 მ-ს ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვილ შენობაში, სწ-2 დაკავებულობისთვის - 90 მ-ს ავტოსაშხეფი სისტემის გარეშე და 120 მ-ს ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვილ შენობაში.

პროექტის მიხედვით, თითო სართულზე გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი შემდეგია:

<u>-2.50 ნიშნულზე: 26.4 მ (სწ-2)</u>
<u>±0.00 ნიშნულზე:</u> 32.4 მ (სვ)
<u>+3.50, +6.37, +9.24 +12.11 ნიშნულებზე:</u> 29.9 მ (სც-2)

მოთხოვნები გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილისადმი დაკმაყოფილებულია.

შენიშვნა 3: *შიგა გასასვლელის გზა-კიბე ან პანდუსი არ უნდა გამოიყენებოდეს სხვა დანიშნულებით, გარდა გასასვლელი საშუალებისა.*

შენიშვნა 4: *გასასვლელ საშუალებეთან დაკავშირებული ნიშნები მოეწყოს მე-10 თავის მიხედვით, მათ შორის, გასასვლელის ნიშნები განთავსდეს 1011-ე ქვეთავის მიხედვით.*

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება

გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება შესრულებულია წესების მე-10 თავის მიხედვით.

1005.1 ქვეთავის შესაბამისად, გასასვლელი საშუალებების სისტემის ყველა ნაწილის ზომა უნდა გიზომოს ამ ქვეთავის შესაბამისად. 1005.2 ქვეთავის თანახმად, გასასვლელი საშუალებების ნებისმიერი კომპონენტის მინიმალური სიგანე (სმ-ში) წესების ნებისმიერ ნაწილში ამგვარი კომპონენტისთვის განსაზღვრულ სიგანეზე ნაკლები არ უნდა იყოს.

1005.3.1 ქვეთავის შესაბამისად, გასასვლელი საშუალებების გზა-კიბეების გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა უნდა გამრავლდეს გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. სადაც გზა-კიბეები ემსახურება ერთზე მეტ სართულს, ამ სართულის მომსახურე გზა-კიბეების აუცილებელი გამტარუნარიანობის გამოთვლისას მხოლოდ თითოეული სართულის ინდივიდუალური დაკავებულობის დატვირთვა გამოიყენება. ამასთან, 1009.4 ქვეთავის თანახმად, გზა-კიბეების სიგანე უნდა განისაზღვროს 1005.1 ქვეთავის მიხედვით, მაგრამ ასე განსაზღვრული სიგანე არ უნდა იყოს 1.1 მ-ზე ნაკლები.

1005.5 ქვეთავის („გასასვლელის გამტარუნარიანობის გადანაწილება“) თანახმად, იქ, სადაც საჭიროა ერთზე მეტი გასასვლელი ან ერთზე მეტ გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი საშუალებები ისეთი კონფიგურაციის უნდა იყოს, რომ ნებისმიერი ერთი გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის გაუქმებამ ხელმისაწვდომი გამტარუნარიანობა აუცილებელი გამტარუნარიანობის 50%-ზე ნაკლებად არ შეამციროს.

1007.3 ქვეთავის შესაბამისად, იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, სართულებს შორის მდებარე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის, სულ მცირე, 1,2 მ უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს ან იატაკის დონეზე გადიდებული ბაქნის საზღვრებში მდებარე თავშესაფრის ფართობს, ან უნდა ჰქონდეს მისადგომი 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართობიდან, ან ჰორიზონტალური გასასვლელიდან. გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეები, რომლებიც აკავშირებს ერთი სართულის დონეებს, მისაწვდომი გასასვლელი საშუალებების ნაწილი არ უნდა იყოს.

პროექტის მიხედვით, შიგა გასასვლელის გზა-კიბის სიგანის განმსაზღვრელი მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვა სც-2 დაკავებულობის სართულებზეა და შეადგენს 42.3-ს. 1005.5 ქვეთავის გათვალისწინებით, 42.3/2x7.6=160.74 მმ-ს, რაც ნაკლებია წესებით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებზე, შესაბამისად, შიგა გასასვლელის გზა-კიბის სიგანე არ უნდა იყოს 1.1 მ-ზე ნაკლები, ხოლო მისაწვდომი გასასვლელი საშუალების გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის, სულ მცირე, 1.2 მ უნდა იყოს. პროექტში შიგა გასასვლელის ორივე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე არის 1.2 მ სახელურებს შორის. **პროექტით გათვალისწინებული გასასვლელი საშუალებების გზა-კიბეების სიგანე უზრუნველყოფს წესებით მოთხოვნილ გამტარუნარიანობას.**

1005.3.2 ქვეთავის შესაბამისად, გასასვლელი საშუალებების კომპონენტების, გზა-კიბეების გარდა, გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა უნდა გამრავლდეს გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ამასთან, გასასვლელი საშუალებების კომპონენტების მინიმალური სიგანე განისაზღვრა შემდეგნაირად:

- 1008.1.1 ქვეთავის მიხედვით, გასასვლელი საშუალებების თითოეული კარის ღიობის მინიმალური სიგანე უნდა შეესაბამებოდეს დაკავებულობის დატვირთვას და უნდა

უზრუნველყოფდეს, არანაკლებ, 82 სმ თავისუფალ სიგანეს. ფრთიანკარიანი გზა-კარების თავისუფალი ღიობი უნდა გაიზომოს კარის წინა მხარესა და შემჩერებელს შორის, როცა კარი ღიაა 90 გრადუსით. თუ ეს ქვეთავი მოითხოვს, სულ მცირე, 82 სმ თავისუფალ სიგანეს და კარის ღიობში ჩასმულია ორფრთიანი კარი შუალის/გამყოფის გარეშე, ერთი ფრთა ღიობის 82 სმ თავისუფალ სიგანეს უნდა უზრუნველყოფდეს. ორმხრივმოძრავი კარის ფრთის მაქსიმალური სიგანე უნდა იყოს 1,2 მ. გასასვლელი საშუალებების კარები დწ-2 ჯგუფის დაკავებულობაში, რომლებიც გამოიყენება საწოლების გასატან-გამოსატანად, უნდა უზრუნველყოფდეს 1,1 მ თავისუფალ სიგანეს. კარების სიმაღლე, არანაკლებ, 2,05 მ უნდა იყოს. ±0.00 ნიშნულზე სართულზე დაკავებულობის მაქსიმალური დატვირთვისთვის, 243.9/3 x5.1=414.63 მმ-ს. პროექტის მიხედვით, კარების თითო ფრთის მინიმალური სიგანეა 82 სმ, მინიმალური სიმაღლე - 210 სმ. **გასავლელები და გასასვლელი საშუალების კარების ზომები აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

- 1017.3 ქვეთავის მიხედვით, სვ ჯგუფის დაკავებულობაში გასავლელის მინიმალური თავისუფალი სიგანე უნდა განისაზღვროს 1005.1 ქვეთავის მიხედვით (რომელიც ეხება დაკავებულობის დატვირთვას), მაგრამ არ უნდა იყოს 90 სმ-ზე ნაკლები. დაკავებულობის მაქსიმალური დატვირთვისთვის, 243.9x5.1=1243.89 მმ-ს, რაც ნაკლებია მინიმალურ აუცილებელზე. პროექტის მიხედვით, გასავლელების სიგანე არ არის 1243.89 სმ-ზე ნაკლები. **გასავლელებისზომები აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**
- 1018.2 ქვეთავის თანახმად, დერეფნებისთვის 1018.2 ცხრილში მოცემული მინიმალური სიგანე უნდა განისაზღვროს 1005.1 ქვეთავის შესაბამისად. სც-2 დაკავებულობაში დერეფნის მინიმალური სიგანე 1018.2 ცხრილის მიხედვით არის 1.2 სმ, საცხოვრებელი ერთეულის ფარგლებში - 90 სმ. დერეფნის მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვისთვის, 42.3x5.1=215.73 მმ-ს, რაც ნაკლებია მინიმალურ აუცილებელ სიგანეზე. პროექტის მიხედვით, დერეფნების მინიმალური სიგანეა 150 სმ, ამასთან, საცხოვრებელ ერთეულებში დერეფნები არ არის გათვალისწინებული. **დერეფნების სიგანე აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

6. მისაწვდომობის შეფასება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობის შეფასება შესრულებულია წესების მე-10 და მე-11 თავების მიხედვით.

1103.1 ქვეთავის თანახმად, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. 1105.1 ქვეთავის თანახმად, 1105.1.1 – 1105.1.6 ქვეთავებში განსაზღვრული მისაწვდომი შესასვლელების გარდა, ყველა მთავარი შესასვლელის, სულ მცირე, 50% მისაწვდომი უნდა იყოს.

პროექტის მიხედვით, შენობა მისაწვდომია შშმ პირთათვის, მისი ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია.

1107.2 ქვეთავის თანახმად, საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულები, რომლებიც აუცილებლად მისაწვდომი ერთეული, ა ტიპის ერთეული ან ბ ტიპის ერთეული უნდა იყოს, უნდა შეესაბამებოდეს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მე-11 თავის შესაბამის ქვეთავებს. ერთეულები, რომლებიც ა ტიპის უნდა იყოს, დასაშვებია დაგეგმარდეს და აიგოს, როგორც მისაწვდომი ერთეულები. ერთეულები, რომლებიც ბ ტიპის უნდა იყოს, დასაშვებია დაგეგმარდეს და აიგოს, როგორც მისაწვდომი ერთეულები ან როგორც ა ტიპის ერთეულები. გამონაკლისი:

მრავალბინიან შენობებში საცხოვრებელი ერთეულები (მუდმივი საცხოვრებელი ერთეულები (ბინები)) დასაშვებია დაგეგმარდეს და აიგოს ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს საცხოვრებელი ერთეულის (ბინის) მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების შესაბამის მისაწვდომ ერთეულად, ა ტიპის ერთეულად ან ბ ტიპის ერთეულად მოწყობა.

1107.6.2.1.1 ქვეთავის მიხედვით, სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში, რომლებზეც განთავსებულია 20-ზე მეტი საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეული, ა ტიპის ერთეული უნდა იყოს 2%, მაგრამ, არანაკლებ, 1. მიწის ნაკვეთზე მდებარე ყველა სც-2 ერთეული გათვალისწინებული უნდა იყოს ერთეულების საერთო რაოდენობისა და ა ტიპის ერთეულების აუცილებელი რაოდენობის დადგენისას. ა ტიპის ერთეულები სხვადასხვა კლასის ერთეულებს შორის უნდა განაწილდეს.

1107.6.2.1.2 ქვეთავის თანახმად, თუ შენობებში საცხოვრებლად განკუთვნილი ოთხი ან მეტი საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულია, ყველა მათგანი ბ ტიპისა უნდა იყოს. 1107.6.2.1.3 ქვეთავის თანახმად, სც-2 ჯგუფის მრავალბინიან შენობებში არსებულ საცხოვრებელ ერთეულებში (ბინებში), წესებით განსაზღვრული მისაწვდომობა დასაშვებია უზრუნველყოფილი იყოს საჭიროების შემთხვევაში, ხოლო საცხოვრებელი ერთეულის (ბინის) დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მისაწვდომობის მოწყობის შესაძლებლობა. 1107.2 ქვეთავის თანახმად, საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულები, რომლებიც აუცილებლად მისაწვდომი ერთეული, ა ტიპის ერთეული ან ბ ტიპის ერთეული უნდა იყოს, უნდა შეესაბამებოდეს ICC A117-ის მე-10 თავის შესაბამის ქვეთავებს.

პროექტის მიხედვით, საცხოვრებელი ბინების გეგმარება იძლევა საშუალებას გადაკეთდეს ა (48 ბინიდან სულ მცირე 1 უნდა შეესაბამებოდეს ა ტიპის ბინას) და ბ ტიპის ერთეულებად მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მე-11 თავის შესაბამისი ქვეთავებით განსაზღვრულ გეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობაში. **საცხოვრებელი ერთეულების მისაწვდომობასთან დაკავშირებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მისაწვდომი ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვრა 1106.1 ცხრილის შესაბამისად: 1-25 ავტოსადგომი სივრცისთვის 1 მისაწვდომი სივრცე. პროექტით გათვალისწინებულია 22 ავტოსადგომი, რომლებიდანაც ერთი არის მისაწვდომი.

პროექტით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობა შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება შესრულებულია წესების მე-6 და მე-7 თავების მიხედვით.

705.8.1 ქვეთავის თანახმად, შენობის ნებისმიერ სართულზე გარე კედლებში ნებადართული დაუცველი და დაცული ღიობების მაქსიმალური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 705.8 ცხრილში განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებლებს. გარე კედლებისათვის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები განსაზღვრულია 705.5 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საფუძველზე 602-ე ცხრილის მიხედვით:

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი** (საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დასაშვები**			**გათვალისწინებული**		
				დაცული	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
ფასადი 1-8 -2.5 ნიშ.	7.16	1	1	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	45%	-	-	-
ფასადი 1-8 0.00 ნიშ.	7.16	1	1	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	45%	25%	-	33%
ფასადი 1-8 +3.5, +6.37, +9.24 და +12.11 ნიშ.	7.16	1	1	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	45%	-	-	42%
ფასადი 1-8 +14.98 ნიშ	>9	0	0	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	-	-	შეუზღუდავი
ფასადი 8-1 -2.5 ნიშ.	7.95	1	1	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	70%	-	-	-
ფასადი 8-1 0.00 ნიშ.	7.95	1	1	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	70%	-	-	25%
ფასადი 8-1 +3.5, +6.37, +9.24 და +12.11 ნიშ.	7.95	1	1	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	70%	-	-	31%
ფასადი 8-1 +14.98 ნიშ	7.95	1	1	შეუზღუ	შეუზღუდა	70%	-	-	8%

				დავია	ვია				
ფასადი ა-დ -2.5 ნიშ.	3.29	1	1	45%	45%	15%	-	-	-
ფასადი ა-დ 0.00 ნიშ.	3.29	1	1	45%	45%	15%	30%	-	2%
ფასადი ა-დ +3.5, +6.37, +9.24 და +12.11 ნიშ.	3.29	1	1	45%	45%	15%	-	-	9%
ფასადი ა-დ +14.98 ნიშ	>9	0	0	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	-	-	შეუზღუდავი
ფასადი დ-ა	>9	0	0	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	-	-	შეუზღუდავი

შენიშვნა 5: *ცეცხლმედეგი გარე კედლები მოეწყოს წესების 705-ე ქვეთავის მიხედვით.*

705.8.5 ქვეთავის თანახმად, თუ ღიობები ერთმანეთისგან დაშორებულია 1,5 მ-ის საზღვრებში თარაზულად და ქვედა სართულის ღიობი არ არის ¾ სთ-იანი (45 წთ) ცეცხლისაგან დაცვის ხარისხის მქონე დაცული ღიობი, მომიჯნავე სართულებზე გარე კედლების ღიობები უნდა გაიმიჯნოს შვეულად, რომ შენობების გარე კედლებზე ცეცხლი არ გავრცელდეს. ასეთი ღიობები შვეულად უნდა გაიმიჯნოს, სულ მცირე, 90 სმ-ით, სპანდრელით (შეკიდული კედლის ნაწილი), გარე კედლებით ან სხვა მსგავსი ანაწყობებით, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი სულ მცირე, 1 საათია, ან ალის ზღუდარებით, რომლებიც ვრცელდება თარაზულად გარე კედლიდან სულ მცირე, 76 სმ-ზე. ალის ზღუდარების ცეცხლმედეგობის ხარისხი, სულ მცირე, 1 საათი უნდა იყოს. შეზღუდვები ზედაპირებისთვის, რომლებზეც არ ზემოქმედებს ASTM E 119-ში ან UL 263-ში მითითებული ტემპერატურები, არ ეხება ალგაუმტარ ზღუდარებს ან შვეულ გამმიჯნავს, თუ წესების დებულებები სხვაგვარად არ მოითხოვს. პროექტის მიხედვით, 1,5 მ-ის საზღვრებში თარაზულად დაშორებული ღიობები გამიჯნულია 1.2 მ სიღრმის მქონე აივნების კონსტრუქციით, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხია 2 სთ.

705.11 ქვეთავის თანახმად, შენობის გარე კედლებს პარაპეტები უნდა ჰქონდეს. ამავე ქვეთავის გამონაკლისის მე-3 პუნქტის თანახმად, გარე კედელს პარაპეტი არ სჭირდება, თუ კედლები, რომლებიც მთავრდება 2-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე სახურავის ანაწყობთან ან სადაც სახურავი, ფენილის (ან ფილის) და საყრდენი კონსტრუქციის ჩათვლით, მთლიანად არაწვადი მასალებისაგანაა აგებული. პროექტის მიხედვით კედლები მთავრდება 2-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე სახურავის ანაწყობთან.

705.2 ქვეთავის შესაბამისად, ლავგარდანები (კარნიზები), სახურავის ნაშვერები, გარე აივნები და მსგავსი ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, ამ ქვეთავისა და 1406-ე ქვეთავის

მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. გარე გასასვლელის აივნები და გარე გასასვლელის გზა-კიბეები, ასევე, 1019-ე და 1026-ე ქვეთავებს უნდა შეესაბამებოდეს. ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელად, ნაშვერები არ უნდა უახლოვდებოდეს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად. პროექტით გათვალისწინებულია აივნები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, ამასთან, მანძილი ხაზიდან, რომლიდანაც აითვლება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი, აღემატება 705.2 ცხრილში მითითებულ მინიმალურ 1.0 მ-ს, შესაბამისად 705.2 ცხრილში მოცემული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

პროექტში დაკმაყოფილებულია მოთხოვნები გარე კედლებისადმი.

შენიშვნა 6 *გარე კედლების მოსაფირკეთებელი მასალების მოწყობა განხორციელდეს წესების მე-14 თავის მოთხოვნების მიხედვით.*

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

პროექტის მიხედვით შერჩეულია B კლასის სახურავის ანაწყობი და ბურული, რაც შეესაბამება 1505.1 ცხრილით განსაზღვრულ მოთხოვნებს მინიმალური ბურულისადმი კონსტრუქციის IB ტიპისათვის.

შენიშვნა 7: *1505.3 ქვეთავის თანახმად:*

B კლასის სახურავის ანაწყობები. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.

შენიშვნა 8: *სახურავის მოწყობისას გათვალისწინებული იქნეს წესების მე-15 თავით განსაზღვრული სახურავების აგებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.*

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების და შემომზღუდავების შეფასება

420.2 ქვეთავის თანახმად, ერთსა და იმავე შენობაში საცხოვრებელი ერთეულებისა და საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულების სხვა დაკავებულობებისგან გასამიჯნ კედლებად უნდა აიგოს ცეცხლმედეგი ტიხრები, 708-ე ქვეთავის შესაბამისად. 420.3 ქვეთავის თანახმად, იატაკის ანაწყობები, რომლებიც მიჯნავს საცხოვრებელ ერთეულებს ერთსა და იმავე შენობაში, საძინებელ ერთეულებს ერთსა და იმავე შენობაში და საცხოვრებელ ან საძინებელ ერთეულებს სხვა დაკავებულობებისგან ერთსა და იმავე შენობაში, უნდა აიგოს, როგორც 711-ე ქვეთავის შესაბამისი თარაზული ანაწყობები.

პროექტის მიხედვით, ყველა საცხოვრებელ ერთეულს შორის გათვალისწინებულია 708-ე ქვეთავის შესაბამისი 1 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი ცეცხლმედეგი ტიხრები და 711-ე ქვეთავის შესაბამისი 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი თარაზული ანაწყობები.

შენიშვნა 9: *ცეცხლმედეგი ტიხრები აიგოს 708-ე ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. თარაზული ანაწყობები აიგოს 711-ე ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.*

პროექტის მიხედვით სწ-2, სვ, სც-2 და დს დაკავებულობები არის გამოჯნული დაკავებულობები 508.4 ქვეთავის შესაბამისად. 508.4.4 ქვეთავის თანახმად, ცალკეული დაკავებულობები მომიჯნავე დაკავებულობებისგან უნდა გაიმიჯნოს 508.4 ცხრილის შესაბამისად. 508.4 ცხრილის მიხედვით, შენობაში, რომელიც არ არის მთლიანად აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, სც და სვ დაკავებულობებს შორის საჭიროა 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი გამმიჯნავები, სწ-2 და სვ დაკავებულობებს შორის საჭიროა 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი გამმიჯნავები, სწ-2 და დს დაკავებულობებს შორის გამიჯვნა არ არის საჭირო.

პროექტის მიხედვით, 508.4 ცხრილის მოთხოვნების შესაბამისად გათვალისწინებულია დაკავებულობების გამიჯვნა 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი თარაზული ანაწყობებით.

შენიშვნა 10 *საჭირო გამმიჯნავები 707-ე ქვეთავის შესაბამისად აგებული ცეცხლმედეგი ზღუდეები ან 711-ე ქვეთავის შესაბამისად აგებული თარაზული ანაწყობები, ან ორივე ერთად უნდა იყოს, და მთლიანად უნდა მიჯნავდეს მოსაზღვრე დაკავებულობებს.*

1022.2 ქვეთავის თანახმად, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები შემოზღუდული უნდა იყოს 707-ე ქვეთავის შესაბამისად აგებული ცეცხლმედეგი ზღუდით ან 711-ე ქვეთავის შესაბამისად აგებული თარაზული ანაწყობით, ან ორივეთი. შიგა გასასვლელის გზა-კიბეების და პანდუსების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი, სულ მცირე, 2 საათი უნდა იყოს, სადაც აერთებს ოთხ სართულს ან მეტს და სულ მცირე, 1 საათი, სადაც აერთებს ოთხ სართულზე ნაკლებს. სართულების რაოდენობაში რომელსაც აერთებს შიგა გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები უნდა შევიდეს მიწის დონის ქვედა სართულები და არ უნდა შევიდეს ანტრესოლები. შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს და პანდუსებს არ უნდა ჰქონდეთ იმ იატაკის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხზე ნაკლები რომლებსაც ისინი კვეთენ, მაგრამ არ არის აუცილებელი ჰქონდეთ 2 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

1022.4 ქვეთავის შესაბამისად, შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისა და პანდუსების ღიობის დამცავები უნდა აკმაყოფილებდეს 716-ე ქვეთავის მოთხოვნებს. შიგა გასასვლელის გზა-კიბეებსა და პანდუსებზე უნდა იყოს მხოლოდ ისეთი ღიობები, რომლებიც განსხვავდება გარე დაუცველი ღიობებისგან და რომლებიც უზრუნველყოფს დაკავებული სივრცეებიიდან შემომზღუდავთან მისადგომს და შემომზღუდავიდან გამოსასვლელს. ლიფტები არ უნდა იღებოდეს შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისა და პანდუსებისკენ.

პროექტის მიხედვით, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები შემოზღუდულია 707-ე ქვეთავის შესაბამისი 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი ცეცხლმედეგი ზღუდით, შიგა გასასვლელის გზა-კიბეების შემომზღუდავის ღიობები აკმაყოფილებს 1022.4 და 1023.5 ქვეთავების მოთხოვნებს, ღიობების ცეცხლისგან დამცავების (კარების) ცეცხლმედეგობის ხარისხი 1.5 სთ შეესაბამება 716.5 ცხრილით მოთხოვნილს, ლიფტი არ იღება შიგა გასასვლელის გზა-კიბისკენ და გასასვლელის გზა-დერეფნისკენ.

შენიშვნა 11: *შიგა გასასვლელის გზა-კიბე უნდა შეესაბამებოდეს 1022-ე ქვეთავის მოთხოვნებს.*
შენიშვნა 12: *კვამლზე გააქტიურებადი კარები მოეწყოს 716.5.9.3 ქვეთავის შესაბამისად.*

ლიფტის შახტის შემომზღუდავების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისთვის იხ. საექსპერტო დასკვნის მე-14 პუნქტი – „ლიფტების შეფასება“.

713.4 ქვეთავის თანახმად, შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი, არანაკლებ, 2 საათი უნდა იყოს, თუ ისინი აკავშირებს ოთხ ან მეტ სართულს და, არანაკლებ, 1 საათი, თუ ოთხზე ნაკლებ სართულს აკავშირებს. შახტით დაკავშირებული სართულების რაოდენობაში მიწის დონის ქვედა სართულებიც უნდა ჩაითვალოს, მაგრამ არა - ანტრესოლები. შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი მათ მიერ გადაკვეთილი იატაკის კონსტრუქციების ცეცხლმედეგობის ხარისხზე ნაკლები არ უნდა იყოს, თუმცა აუცილებელი არ არის, 2 საათს აღემატებოდეს. შახტის შემომზღუდავები 703.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. 713.6 ქვეთავის შესაბამისად, თუ გარე კედლები შახტის აუცილებელი შემომზღუდავის ნაწილია, ისინი 705-ე ქვეთავის (გარე კედლების შესახებ) მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამ შემთხვევაში ცეცხლმედეგობის ხარისხიანი შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები არ გამოიყენება. პროექტის მიხედვით შახტები აკავშირებს ოთხ სართულს და გათვალისწინებულია 2 სთ-იანი ცეცხლმედეგობის ხარისხიანი შახტების შემომზღუდავები, გარდა გარე კედლებისა, რომლებიც შახტების შემომზღუდავების ნაწილია და რომლების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია გარე კედლებისადმი მოთხოვნების საფუძველზე, რაც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (გარე კედლებისთვის მოთხოვნების შეფასებისთვის იხ. საექსპერტო დასკვნის მე-7 პუნქტი).

შენიშვნა 13: *შახტების შემომზღუდავები უნდა იყოს სიმეტრიული კონსტრუქციის ან, ასიმეტრიული კონსტრუქცის შემთხვევაში, შახტის შემომზღუდავები 703.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.*
შენიშვნა 14: *შიგა გასასვლელის გზა-კიბეების, შახტების შემომზღუდავები უნდა იყოს 707-ე ქვეთავის შესაბამისი ცეცხლმედეგი ზღუდეები.*

1018.1 ქვეთავის შესაბამისად, დერეფნების ცეცხლმედეგობის ხარისხი განისაზღვრება 1018.1 ცხრილის მიხედვით. დერეფნის კედლები, რომელთაც მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი, უნდა აიგოს 708-ე ქვეთავის შესაბამისად, რომელიც ეხება ცეცხლმედეგ ტიხრებს. ამავე ქვეთავის გამონაკლისის მე-5 პუნქტის თანახმად, დასაშვებია, შენობების გარე კედლების მომიჯნავე დერეფნებს ჰქონდეს დაუცველი ღიობები ცეცხლმედეგობის ხარისხის არმქონე გარე კედლებში, თუ ამგვარი კედლები დაშვებულია 602-ე ცხრილში, ხოლო დაუცველი ღიობები - 705.8 ცხრილში. 1018.1 ცხრილის მიხედვით სც დაკავებულობაში 10-ზე მეტი დაკავებულობის დატვირთვისას საშხეფი სისტემის გარეშე საჭიროა 1 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი დერეფანი და საშხეფი სისტემით - 0 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი დერეფანი. პროექტის მიხედვით სც-2 დაკავებულობაში საერთო დერეფნები არის 1 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე. მათში გათვალისწინებული კარების ცეცხლმედეგობის ხარისხია 20 წთ, რაც შეესაბამება 716.5 ცხრილით მოთხოვნილს.

713.14.1 ქვეთავის თანახმად, თუ ლიფტის შახტა სამზე მეტ სართულს აკავშირებს, თითოეულ სართულთან ლიფტის შემოზღუდული ფოიე უნდა იყოს. ლიფტის შახტის შემომზღუდავის კარები თითოეული სართულისგან უნდა გაიმიჯნოს შემოზღუდულ ფოიეში მოწყობილი ცეცხლმედეგი ტიხრებით. 708-ე ქვეთავში ცეცხლმედეგი ტიხრებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად, ლიფტის ფოიეს შემომზღუდავ კედლებში არსებული ღიობების კარები 716.5.3 ქვეთავის მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს, რომლებიც დერეფნის კედლებს ეხება. ლიფტის ფოიეს შემომზღუდავში გამავალი არხები და ჰაერცვლის ღიობები 717.5.4.1 ქვეთავის შესაბამისად დაცული დერეფნების მსგავსად უნდა იქნეს დაცული. ლიფტის ფოიეებს, სულ მცირე, ერთი გასასვლელი საშუალება უნდა ჰქონდეს მე-10 თავისა და წესების სხვა ქვეთავების შესაბამისად.

პროექტით ყველა სართულზე ლიფტებთან გათვალისწინებულია შემოზღუდული ფოიეები. ლიფტის შახტის შემომზღუდავების ღიობების ცეცხლმედეგობის ხარისხია 1.5 სთ, რაც შეესაბამება

716.5 ცხრილით მოთხოვნილს. სვ და სც-2 დაკავებულობაში გათვალისწინებული შემოზღუდული ფოიეების ცეცხლმედეგი ტიხრების ცეცხლმედეგობის ხარისხია 1 სთ, ხოლო მათში გათვალისწინებული კარების ცეცხლმედეგობის ხარისხია 20 წთ, რაც შეესაბამება 716.5 ცხრილით მოთხოვნილ.

შენიშვნა 15: *დერეფნის და ლიფტის ფოიეების კედლები, რომელთაც მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი, უნდა იყოს 708-ე ქვეთავის შესაბამისი ცეცხლმედეგი ტიხრები.*
შენიშვნა 16: ლიფტის ფოიეს შემომზღუდავ კედლებში არსებული ღიობების კარები 716.5.3 ქვეთავის მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს.
შენიშვნა 17: *ლიფტის შახტის შემომზღუდავების ღიობები მე-7 თავის მოთხოვნების შესაბამისად უნდა იყოს დაცული.*

913.2.1 ქვეთავის შესაბამისად, სახანძრო ტუმბოები უნდა განთავსდეს ოთახებში, რომლებიც შენობის ყველა სხვა ფართობისგან გამიჯნულია 2-საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომლებიც აგებულია 707-ე ქვეთავის შესაბამისად ან თარაზული ანაწყობებით, რომლებიც აგებულია 711-ე ქვეთავის შესაბამისად, ან ორივეთი. 716.5 ცხრილის მიხედვით, 2-საათიან ცეცხლმედეგ ზღუდეში კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა იყოს 1.5 სთ (90 წთ).

პროექტის მიხედვით, სახანძრო სატუმბო ოთახის და ავტოსაშხეფი სისტემის ავზის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხია 2 სთ, ხოლო სატუმბო ოთახის შემომზღუდავში კარის ცეცხლმედეგობის ხარისხია - 1.5 სთ (90 წთ).

717.5.3 ქვეთავის თანახმად, შახტის შემომზღუდავები, რომლებშიც დასაშვებია, გადიოდეს არხები და საჰაერო ღიობები, ნუსხის პირობების მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით უნდა იყოს დაცული. 909.5.2.1 ქვეთავის თანახმად, არხები და საჰაერო ღიობები დაცული უნდა იყოს, 717-ე ქვეთავის შესაბამისი, სულ მცირე, II კლასის, 121°C, კვამლის ფარსაკეტებით. პროექტის მიხედვით შახტების ღიობებში გათვალისწინებულია სულ მცირე, II კლასის, 121°C, ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტების მოწყობა.

შენიშვნა 18: *ფარსაკეტები მოეწყოს 717-ე ქვეთავის მოთხოვების შესაბამისად.*
შენიშვნა 19: *დასაშვებია მოეწყოს მხოლოდ 713-ე ქვეთავის შესაბამისი, მთლიანად შახტის შემოზღუდავებში მოქცეული შვეული ღიობები.*

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების და შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება წესების შესაბამის მოთხოვნებს.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება შესრულებულია წესების მე-9 თავისა და 403-ე ქვეთავის („მაღლივი შენობები“) მიხედვით.

903.2.7 ქვეთავის თანახმად, ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დააყენონ შენობებში, რომლებიც შეიცავს სვ ჯგუფის დაკავებულობას, თუ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მდგომარეობაა: 1. სვ ჯგუფის ხანძრისგან დაცული ფართობი 1200 მ^2-ს აღემატება; 2. სვ ჯგუფის ხანძრისგან დაცული ფართობი მდებარეობს მიწის დონიდან სამ სართულზე მაღლა; 3. სვ ჯგუფის ხანძრისგან დაცული

ფართობის საერთო ფართობი ანტრესოლიანად ყველა იატაკზე 2300 მ²-ს აღემატება; 4. სვ ჯგუფის დაკავებულობა, გამოყენებული გადაკრული/რბილი ავეჯის ან მატრასების გამოსაფენად და გასაყიდად, 500 მ²-ს აღემატება. 903.2.7.1 ქვეთავის თანახმად, ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დააყენონ სვ ჯგუფის შენობებში, სადაც მდებარეობს მრავალრიგიანი საწყობი თაროები ან სათავსები სვეტებად დაწყობილი სავაჭრო საქონლისათვის.

903.2.8 ქვეთავის თანახმად, სც ჯგუფის დაკავებულობების მთლიანად უზრუნველყოფილი უნდა იყოს 903.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით, ხოლო ამავე ქვეთავის გამონაკლისის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, სც-2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა, რომლის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე ზემოთ.

903.2.10 ქვეთავის თანახმად, ავტოსაშხეფი სისტემით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მთელი შენობა, რომელიც მიეკუთვნება შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟების კლასს 406.4 ქვეთავის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილის მიხედვით: 1. სადაც შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟის ხანძრისგან დაცული ფართობი 1200 მ²-ს აღემატება; 2. შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი სხვა ჯგუფების ქვემოთ მდებარეობს. ამავე ქვეთავის გამონაკლისის მე-3 პუნქტის თანახმად, ავტოსაშხეფი სისტემით უზრუნველყოფილი უნდა იყოს, მხოლოდ შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი, როდესაც შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი წესების შესაბამისად შემოზღუდული გზა-კიბის ან პანდუსის, მეშვეობით პირდაპირ უკავშირდება მის ზემოთ მდებარე სხვა ჯგუფებს და შემოზღუდულ გზა-კიბეს ან პანდუსს აქვს დამოუკიდებლად განიავებადი წინამო (ფოიე/ვესტიბული) შემოზღუდული ავტოსადგომის დონე(ებ)ზე.

პროექტის მიხედვით, არ ფიქსირდება 903.2.7 ქვეთავით გათვალისწინებული მდგომარეობები, ამასთან, შენობის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე ზემოთ, შესაბამისად შენობაში ავტოსაშხეფი სისტემა არ არის გათვალისწინებული. ავტოსადგომი გარაჟის სართული უზრუნველყოფილია ავტოსაშხეფი სისტემით.

905.3 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ 905.3.1 – 905.3.8 ქვეთავებში მოთხოვნილ ადგილებში. შეიძლება სახანძრო მილდგარების სისტემები ავტოსაშხეფ სისტემებთან გაერთიანდეს. 905.3.1 ქვეთავის თანახმად, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მ-ით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან, ან თუ ყველაზე დაბლა მდებარე სართულის იატაკის დონე 9,0 მ-ით დაბლაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე მაღალი დონიდან.

905.4 ქვეთავის თანახმად, I კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა ადგილას:

1. ყველა აუცილებელ გზა-კიბეზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ ან ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.

5. თუ სახურავის ქანობი 33,3%-ზე ნაკლებია (ოთხი შვეული ერთეული თორმეტ თარაზულ ერთეულთან (4 : 12 ქანობი), 1009.16 ქვეთავის შესაბამისად, უნდა განთავსდეს სახელოს მისაერთებელი, რომელიც მოემსახურება სახურავს ან ასეთი მისაერთებელი უნდა განთავსდეს გზა-კიბის ყველაზე მაღალ ბაქანთან, რომელიც სახურავს უკავშირდება კიბით;

6. თუ ყველაზე მოშორებული ნაწილი იატაკის ან სართულისა, სადაც საშხეფები არ არის, სახელოს მისაერთებლიდან დაშორებულია 46 მ-ზე მეტი მანძილით, ან თუ საშხეფებით

უზრუნველყოფილი ყველაზე დაშორებული ნაწილები მდებარეობს სახელოს მისაერთებლიდან 60 მ-ზე შორს.

905.5 ქვეთავის თანახმად, II კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში.

905.6 ქვეთავის თანახმად, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს 905.4 ქვეთავში I კლასის და 905.5 ქვეთავში II კლასის სახანძრო მილდგარებისათვის განსაზღვრულ ადგილებში.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა წესებით გათვალსწინებულ ადგილებში: გზა-კიბეზე იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეებზე, ისეთ ადგილებში, საიდანაც შენობის ყველა ნაწილი ექცევა 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში (სვ დაკავებულობაში).

შენიშვნა 20: *სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ 905-ე ქვეთავისა და NFPA 14-ის შესაბამისად. შენობებში, სადაც დაყენებულია ერთზე მეტი III კლასის სახანძრო მილდგარი, ისინი ერთმანეთს უნდა მიუერთდეს NFPA 14-ის შესაბამისად.*

შენიშვნა 21: *კარადები, სადაც განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა, კერძოდ: სახანძრო მილდგარები, სახანძრო სახელოები, ცეცხლსაქრობები ან სარქვლები სახანძრო-სამაშველო დანაყოფისათვის, ხელმისაწვდომი უნდა იყოს და არ უნდა დაიფაროს თვალისგან.*

შენიშვნა 22: *დაცული იქნეს 905.7.1 და 905.7.2 ქვეთავების მოთხოვნები კარადებთან დაკავშირებით.*

906.1 ქვეთავის 1-ელი პუნქტის თანახმად, ხელის ცეცხლმაქრები უნდა განთავსდეს თვ, სქ, სგ, სმ, დსშ, დწ, სვ, სც-1, სც-2, სც-4 და სწ ჯგუფების დაკავებულობებში. **პროექტით გათვალისწინებულია სც-2, სწ-2 და სვ ჯგუფის დაკავებულობებში ცეცხლმაქრების განთავსება.**

შენიშვნა 23: *ხელის ცეცხლმაქრების ზომა და განაწილება განისაზღვროს წესების 906.3 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით შესაბამისი სპეციალისტის მიერ.*

907.2 ქვეთავის („სადაც საჭიროა – ახალი შენობები და ნაგებობები“) თანახმად, აღიარებული სახანძრო განგაშის სისტემა, დაყენებული წესების დებულებებისა და NFPA 72-ის შესაბამისად, ახალ შენობებსა და ნაგებობებში უნდა შეესაბამებოდეს 907.2.1 – 907.2.23 ქვეთავების მოთხოვნებს და დამკავებლებს შეტყობინებებს უნდა აწვდიდეს 907.5 ქვეთავის შესაბამისად, თუ წესების სხვა ქვეთავებში სხვაგვარად არაა მოთხოვნილი. ხელით სამართავი სახანძრო განგაშის, სულ მცირე, ერთი კოლოფი უნდა იყოს ნებადართულ ადგილას, საიდანაც სახანძრო განგაშის სიგნალი გადაეცემა სახანძრო განგაშის სისტემებს, რომლებიც იყენებს ცეცხლის ავტომატურ აღმომჩენ ან წყლის ნაკადის აღმომჩენ მექანიზმებს. თუ წესების სხვა ქვეთავებით დაშვებულია, რომ საშხეფების არსებობისას აღარ განთავსდეს სახანძრო განგაშის კოლოფები, სახანძრო განგაშის ერთი კოლოფი მაინც უნდა განთავსდეს. გამონაკლისი: 1. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი საჭირო არ არის სახანძრო განგაშის სისტემებისთვის, რომლებიც განკუთვნილია ლიფტის გამოძახების მაკონტროლებელი და ზედამხედველი სამსახურისთვის. 2. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი საჭირო არ არის სც-2 ჯგუფის დაკავებულობებისთვის, თუ სახანძრო–სამაშველო დანაყოფის მიერ მოთხოვნილი არ არის ხანძრის მეთვალყურე პერსონალისთვის განგაშის

ამუშავების საშუალებად საშხეფი სისტემის გაუმართაობის დროს. ხელით სამართავი სახანძრო განგაშის კოლოფი არ უნდა განთავსდეს საზოგადოებისათვის მისადგომ ადგილას.

907.2.7 ქვეთავის თანახმად, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას, უნდა დააყენონ სვ ჯგუფის დაკავებულობებში, რომელშიც არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილთგან ერთ-ერთი პირობა: 1. სვ ჯგუფის ყველა იატაკის საერთო დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 500 კაცს ან მეტს; 2. სვ ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 100 კაცზე მეტს შენობიდან გამოსასვლელის ყველაზე დაბალი დონის ზემოთ ან ქვემოთ.

907.2.9.1 ქვეთავის თანახმად, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას 907.5 ქვეთავის შესაბამისად, უნდა დააყენონ სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში, სადაც: 1. ნებისმიერი საცხოვრებელი თუ საძინებელი ერთეული მდებარეობს სამი ან მეტი სართულით მაღლა ყველაზე დაბალ დონეზე მდებარე შენობის გამოსასვლელიდან; 2. ნებისმიერი საცხოვრებელი თუ საძინებელი ერთეული მდებარეობს ერთი სართულით ქვემოთ ყველაზე მაღალ დონეზე მდებარე შენობიდან გამოსასვლელიდან, რომელიც ემსახურება საცხოვრებელ ან საძინებელ ერთეულებს; 3. შენობა მოიცავს 16-ზე მეტ საცხოვრებელ ან საძინებელ ერთეულს.

პროექტით გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის სისტემის, მათ შორის, ხელით სამართავი სისტემის დაყენება სც-2 ჯგუფის დაკავებულობაში, სვ დაკავებულობაში არ ფიქსირდება 907.2.7 ქვეთავით გათვალისწინებული მდგომარეობები და არ არის გათვალისწინებული ხელით სამართავი სისტემის დაყენება.

შენიშვნა 24: *სახანძრო განგაშის სამართავი სისტემის სამშენებლო დოკუმენტები შედგენილი უნდა იქნეს შესაბამისი სპეციალისტის მიერ 907.1.1 და 907.1.2 ქვეთავების შესაბამისად.*

შენიშვნა 25: *სახანძრო განგაშის სისტემა უნდა დააყენონ NFPA 72-ის შესაბამისად.*

907.2.11.2 ქვეთავის თანახმად, კვამლზე მორეგირე მაუწყებელის ერთ- და მრავალბლოკიანი მოწყობილობები დაკავებულობის დატვირთვის მიუხედავად უნდა განთავსდეს სც-2, სც-3, სც-4 და დწ-1 ჯგუფებში ქვემოთ მითითებულ ადგილებში: 1. თითოეული ცალკეული საძინებელი ფართობის ჭერზე ან კედლის გარეთა მხარეს საძინებელ ოთახებთან ახლოს; 2. ნებისმიერ ოთახში, რომელიც საძინებლადაა გამოყენებული; გამონაკლისი: კვამლზე მორეგირე მაუწყებელის ერთი და მრავალბლოკიანი მოწყობილობები დწ-1 ჯგუფის დაკავებულობებში აუცილებელი არ არის, თუ საძინებელი ოთახების კვამლაღმომჩენები კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემის ნაწილია. 3. საცხოვრებელი ერთეულის ყველა სართულზე, მიწის დონის ქვედა სართულიანად, მაგრამ არა დაბალ სივრცეებსა და არასაცხოვრებელ სხვენებში. დაყოფილდონეებიან საცხოვრებლებში ან საცხოვრებელ ერთეულებში, რომელთაც არ აქვს მომიჯნავე დონეებში გასასვლელი კარი, ზედა დონეზე დაყენებული კვამლზე მორეგირე მაუწყებელის მოწყობილობა საკმარისია მის ქვემოთ მდებარე დონისთვისაც, თუ ქვედა დონე უფრო პატარაა, ვიდრე ზედა დონის ქვეშ მდებარე ერთი მთლიანი სართული.

პროექტის მიხედვით, ყველა ბინის თითოეული ცალკეული სტუდიოს ტიპის ფართობის ჭერზე გათვალისწინებულია კვამლზე მორეგირე მაუწყებლის განთავსება.

შენიშვნა 26: *კვამლზე მორეაგირე მაუწყებლები უნდა მოეწყოს წესების 907.2.11.3 და 907.2.11.4 ქვეთავების და NFPA 72-ის შესაბამისად.*

907.2.11.3 ურთიერთკავშირი. თუ სც ან დწ-1 ჯგუფის დაკავებულობებში ცალკეული საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულის საზღვრებში საჭიროა კვამლზე მორეგირე მაუწყებელის ერთზე მეტი მოწყობილობის დაყენება, ისინი ერთმანეთთან ისე უნდა იყოს დაკავშირებული, რომ ერთი მოწყობილობის გააქტიურება ერთეულის საზღვრებში დაყენებული ყველა განგაშის მოწყობილობას ააქტიურებდეს. კვამლზე მორეგირე მაუწყებელის მოწყობილობების ფიზიკურად დაკავშირება საჭირო არ არის, თუ დაყენებულია უკაბელო განგაშის მოწყობილობები და ერთი მოწყობილობის გააქტიურებისას განგაშის სიგნალს გამოსცემს ყველა მოწყობილობა. სიგნალის ხმა უნდა აღემატებოდეს ფონური ხმაურის დონეებს, რომ გარკვევით ისმოდეს ყველა საძინებელ ოთახში მაშინაც კი, როდესაც კარები დახურულია.

907.2.11.4 კვების წყარო. ახალ მშენებლობაში კვამლზე მორეგირე მაუწყებელის აუცილებელი მოწყობილობები პირველად ელექტროენერგიას უნდა იღებდეს შენობის ელექტროგაყვანილობიდან, რომელიც კომერციული წყაროდან მარაგდება და აღჭურვილი უნდა იყოს სათადარიგო ბატარეებით. ინტეგრალურსტრობებიანი და სათადარიგოელემენტებიანი კვამლზე მორეგირე მაუწყებელის მოწყობილობები საავარიო ელექტროსისტემას უნდა მიეუერთდეს. კვამლზე მორეგირე მაუწყებელის მოწყობილობები უნდა გამოსცემდეს სიგნალს, როცა ელემენტები იცლება. ელექტროგაყვანილობა უნდა იყოს მუდმივი და არ უნდა ჰქონდეს ამომრთველები, დენის მოვარდნისაგან დამცავი ამომრთველების გარდა.
გამონაკლისი: კვამლზე მორეგირე მაუწყებელის მოწყობილობებს არ სჭირდება სათადარიგო ელემენტები, თუ ისინი მიერთებულია საავარიო ელექტროსისტემასთან.

შენიშვნა 27: *გათვალისწინებული იქნეს 907.3 ქვეთავის მოთხოვნები სახანძრო უსაფრთხოების ფუნქციებთან დაკავშირებით, 907.4 ქვეთავის მოთხოვნები გამააქტიურებელ მექანიზმებთან დაკავშირებით, 907.5 ქვეთავის მოთხოვნები დამკავებელთა შეტყობინების სისტემებთან დაკავშირებით.*

შენიშვნა 28: *გათვალისწინებული იქნეს 907.3.3 ქვეთავების მოთხოვნები:*

907.3.3 ლიფტების მუშაობა საგანგებო ვითარების დროს. საგანგებო ვითარების დროს ლიფტმა რომ იმუშაოს, უნდა განთავსდეს ASME A17.1 და NFPA 72-ის შესაბამისი ცეცხლის ავტომატური აღმომჩენები.

შენიშვნა 29: *გათვალისწინებული იქნეს 907.5.2.2 და 907.5.2.3.4 ქვეთავების მოთხოვნები:*

907.5.2.2 საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა. წესებით აუცილებელი საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები უნდა დაგეგმარდეს და დააყენონ NFPA 72-ის შესაბამისად. ცეცხლის ავტომატური ნებისმიერი აღმომჩენის, საშხეფის წყლის ჭავლის მარეგულირებელი მოწყობილობის ან სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფის ამუშავებისას ავტომატურად უნდა გამოიცეს სიგნალი, რომელსაც მოჰყვება ხმოვანი ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საერთო ან ეტაპობრივი ევაკუაცია. მაღლივ შენობებში სისტემა უნდა მუშაობდეს, სულ მცირე, იმ იატაკზე, სადაც გააქტიურდა განგაში, ასევე, - ამგვარი იატაკის ზემოთ და ქვემოთ. რუპორები უნდა განთავსდეს მთელ შენობაში რადიოგამოძახების ზონების მიხედვით. რადიოგამოძახების ზონები უნდა მოეწყოს, სულ მცირე, ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში: 1. ლიფტების ჯგუფთან; 2. გასასვლელის გზა-კიბეებზე; 3. ყოველ იატაკზე/სართულზე; 4. 1002.1 ქვეთავში განსაზღვრულ თავშესაფრის ფართობებზე.

907.5.2.3.4 ჯგუფი სც-2. სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში, რომლებშიც 907-ე ქვეთავის თანახმად უნდა იყოს სახანძრო განგაშის სისტემა, ყველა საცხოვრებელ და საძინებელ ერთეულში შესაძლებელი უნდა იყოს ვიზუალური განგაშის შეტყობინების მოწყობილობის მუშაობა, ICC A117.1-ის შესაბამისად. განგაშის სისტემის სიმძლავრე ისე უნდა განისაზღვროს, რომ მომავალში შესაძლებელი იყოს, მასში ჩაირთოს შენობის სახანძრო განგაშის სისტემები კვამლზე მორეგირე მაუწყებელის წერტილოვანი მოწყობილობებით, ასევე, ხმოვანი დანადგარები შეიცვალოს ხმოვან-მხედველობითი (კომბინირებული) დანადგარებით ან გაფართოვდეს არსებული ელექტროგაყვანილობის ქსელი კვამლზე გააქტიურებადი განგაშის წერტილოვანი მოწყობილობებიდან მხედველობითი დანადგარებისთვის საჭირო ადგილებამდე.

შენიშვნა 30: *სახანძრო განგაშის სისტემა უნდა დააყენონ NFPA 72-ის და 907.6 ქვეთავის შესაბამისად.*

912.1 ქვეთავის შესაბამისად, სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს NFPA-ის სტანდარტების შესაბამისად (რომლებიც ეხება სისტემის დაგეგმარებას) და უნდა აკმაყოფილებდეს 912.2 – 912.5 ქვეთავების მოთხოვნებს. პროექტით გათვალისწინებულია სახანძრო მისაერთებლის (ჰიდრანტის) განთავსება საპროექტო მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი გზის მხარეს.

შენიშვნა 31: *სახანძრო მისაერთებლ(ებ)ის მდებარეობა და მისადგომი შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.*

შენიშვნა 32: *გათვალისწინებული იქნეს 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნები.*

912.3.2 თავისუფალი სივრცე მისაერთებლების გარშემო. არანაკლებ, 80 სმ სიგანის, 90 სმ სიღრმისა და 2 მ სიმაღლის სამუშაო სივრცე უნდა დარჩეს და შენარჩუნდეს თითოეული კედელზე განთავსებული სახანძრო მისაერთებლის წინა და გვერდითა მხარეებთან და თავისუფლად მდგომი სახანძრო მისაერთებლების გარშემო, თუ არ არსებობს სხვა მოთხოვნა და შეთანხმება სახანძრო- სამაშველო დანაყოფთან.

შენიშვნა 33: *არხების და საჰაერო ღიობების დამცავები მოეწყოს 717-ე ქვეთავის მიხედვით.*

შენიშვნა 34: *სახანძრო ტუმბო მოეწყოს 913-ე ქვეთავისა და NFPA 20-ის მოთხოვნების დაცვით.*

ხანძრისაგან დაცვის სისტემები შეფასებულია უშუალოდ წესებში განსაზღვრული პირობების საფუძველზე, არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო მინიმალური დეტალიზაციის ფარგლებში, რის გათვალისწინებითაც პროექტში მითითებული ხანძრისაგან დაცვის სისტემები შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

შენიშვნა 35: *ხანძრისაგან დაცვის სისტემების მოწყობა და შემოწმება, ასევე აუცილებელი დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება უნდა მოხდეს შესაბამისი სპეციალისტების მიერ, სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით და საჭიროებისამებრ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებით. დამატებით მოწყობილი უნდა იქნეს ხანძრისაგან დაცვის შესაბამისი სისტემები, თუ ამას მოითხოვს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმები.*

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება შესრულებულია წესების მე-16 და მე-11 თავების მიხედვით. 1602.1 ცხრილის შესაბამისად:

- სც-2 დაკავებულობის მრავალბინიანი სახლისთვის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობაა: 1 უნიტაზი 1 საცხოვრებელ ერთეულზე, 1 ხელსაბანი 1 საცხოვრებელ ერთეულზე, 1 აბაზანა/შხაპი 1 საცხოვრებელ ერთეულზე, 1 სამზარეულოს ნიჟარა 1 საცხოვრებელ ერთეულზე, 1 ავტომატური სარეცხი მანქანის მისაერთებელი ყოველ 20 საცხოვრებელ ერთეულზე;
- სვ დაკავებულობის საცალო ვაჭრობის მაღაზიების, მაღაზიების, სააუქციონო დარბაზების, ბაზრებისა და სავაჭროსთვის ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობაა:
  1 უნიტაზი 500 დამკავებლისთვის, 1 ხელსაბანი 750 დამკავებლისთვის, 1 წყლის დასალევი შადრევანი 1000 დამკავებლისთვის, 1 სამომსახურო ნიჟარა;

1602.2 ქვეთავის თანახმად, წყალსადენის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობის შემთხვევაში, თითოეული სქესისათვის ცალ-ცალკე მოწყობილობები უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

1109.2 ქვეთავის თანახმად, თითოეული ტუალეტის ოთახი და სააბაზანო ოთახი მისაწვდომი უნდა იყოს. თუ აუცილებელი არ არის, რომ იატაკის დონეს ჰქონდეს მისაწვდომი სვლაგეზი, მხოლოდ ტუალეტის ოთახები და სააბაზანო ოთახები უნდა მდებარეობდეს მისაწვდომ იატაკზე. ყოველ მისაწვდომ ტუალეტის ოთახსა და სააბაზანო ოთახში უნდა იყოს თითოეული ტიპის, სულ მცირე, ერთი მისაწვდომი ხელსაწყო, ელემენტი, მაკონტროლებელი ან გამანაწილებელი. 1109.1 ქვეთავის გამონაკლისის თანახმად, მისაწვდომი ერთეულები, ა ტიპის ერთეულები და ბ ტიპის ერთეულები უნდა შეესაბამებოდეს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მე-11 თავს.

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი:

- სც-2 დაკავებულობის თითოეულ ბინაში გათვალისწინებულია სულ მცირე: 1 უნიტაზი, 1 ხელსაბანი, 1 აბაზანა/შხაპი, 1 სამზარეულოს ნიჟარა, 1 სარეცხი მანქანის მისაერთებელი.
- ±0.00 ნიშნულზე, სავაჭრო დაკავებულობის სართულზე (დაკავებულობის დატვირთვა - 243.9), გათვალისწინებულია ორი მისაწვდომი ტუალეტის ოთახი ქალებისთვის და ორი - კაცებისთვის, ერთი სამომსახურო ნიჟარა, 2 წყლის დისპენსერი.

პროექტით გათვალისწინებული წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა აკმაყოფილებს წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

12. კიბეებისა და მოაჯირების შეფასება

კიბეების, პანდუსებისა და მოაჯირების შეფასება შესრულებულია წესების მე-10 თავის მიხედვით.

1009.10 ქვეთავის თანახმად, იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ უნდა აღემატებოდეს 3.7 მ-ს. პროექტის მიხედვით **საპროექტო თითოეული მარშის ამაღლება ნაკლებია 3.7 მ-ზე.**

1009.7.2 ქვეთავის მიხედვით, კიბის შემაღლების/შუბლის სიმაღლე უნდა იყოს, არაუმეტეს, 18 სმ და, სულ მცირე, 10 სმ. შემაღლების/შუბლის სიმაღლე უნდა გაიზომოს შვეულად მომიჯნავე საფეხურების ნაშვერებს შორის. მართკუთხა საფეხურის თარაზული ზედაპირის (საბიჯელის) სიღრმე უნდა იყოს, სულ მცირე, 28 სმ, როდესაც იზომება თარაზულად მომიჯნავე საფეხურების ყველაზე გამოშვერილი ნაწილების შვეულ სიბრტყეებსა და საფეხურის ნაშვერების მარჯვენა კუთხეს შორის. მოხვევის საფეხურების თარაზული ზედაპირის (საბიჯელის) მინიმალური სიღრმე კიბის თავისუფალი სიგანის საზღვრებში უნდა იყოს მოხვევის საფეხურების სავალის ხაზთან გადაკვეთის ადგილებში 25 სმ და საფეხურების ნაშვერების შვეულ სიბრტყეებს შორის უმეტესი ნაწილისთვის 28 სმ. პროექტში მოცემული კიბის დეტალური ნახაზების შესაბამისად, **კიბეები აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული მოთხოვნებს.**

1013.2 ქვეთავის შესაბამისად, მოაჯირები უნდა განთავსდეს სავალი ზედაპირების ღია მხარის გასწვრივ: ანტრესოლებზე, მოწყობილობების ბაქნებზე, კიბეებზე, პანდუსებზე და ბაქნებზე, რომლებიც მდებარეობს 75 სმ-ზე მაღლა. ეს მანძილი იზომება მათ ქვემოთ არსებული იატაკიდან ან ქანობიდან შვეულად, ღია მხარის კიდიდან თარაზულად 90 სმ-ის საზღვრებში მდებარე ნებისმიერ წერტილში. მოაჯირის სიმტკიცე და დამაგრება სათანადოდ უნდა უზრუნველყონ. 1013.3 ქვეთავის მიხედვით, აუცილებელი მოაჯირები უნდა იყოს, არანაკლებ, 1,1 მ სიმაღლის, რაც იზომება

შვეულად შემდეგნაირად: 1. მომიჯნავე სავალი ზედაპირებიდან; 2. კიბეებზე, საფეხურების ნაშვერების შემაერთებელი ხაზიდან; 3. პანდუსებზე, მოაჯირის მოსაზღვრე ზედაპირიდან. 1013.4 ქვეთავის თანახმად, სავალი ზედაპირიდან მოაჯირის აუცილებელ სიმაღლემდე არ უნდა იყოს ისეთი ღიობები, რომლებშიც 10 სმ დიამეტრის სფერო გაეტევა. ამავე ქვეთავის გამონაკლისის 1-ელი პუნქტის თანახმად, 90 სმ-დან 1,1 მ სიმაღლემდე მოაჯირებს არ უნდა ჰქონდეს ისეთი ღიობები, რომლებშიც გაეტევა 11 სმ დიამეტრის სფერო.

პროექტით გათვალისწინებულია მოაჯირების მოწყობა 1013-ე ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად 75 სმ-ზე მეტად ამაღლების ადგილებში: კიბეებზე, აივნებზე. **პროექტის მიხედვით მოაჯირები აკმაყოფილებს 1013.3 ქვეთავით განსაზღვრულ სიმაღლესთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და 1013.4 ქვეთავით განსაზღვრულ ღიობებთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ასევე პროექტში დაცულია 1013.8 ქვეთავით განსაზღვრულ ფანჯრის რაფებთან დაკავშირებული მოთხოვნები.**

13. შენობის განიავებისა და განათების შეფასება

შენობის განიავებისა და განათების შეფასება შესრულებულია წესების მე-12 თავის მიხედვით.

1203.1 ქვეთავის თანახმად, შენობებს უნდა ჰქონდეს 1203.4 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი ბუნებრივი განიავება ან შესაბამისი მექანიკური განიავება. 1203.4 ქვეთავის შესაბამისად, გამოყენებული სივრცე ბუნებრივად უნდა ნიავდებოდეს ფანჯრების, კარების, სანიავებელი ღიობების ან სხვა ღიობების საშუალებით, რომლებიც შენობის გარეთ გადის. ასეთი ღიობების სამართავი მექანიზმი ადვილად მისადგომი უნდა იყოს, რომ შენობაში მყოფთ შეეძლოთ ღიობების ადვილად მართვა. 1203.4.1 ქვეთავის თანახმად, გარე გასაღები ღიობის მინიმალური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში უნდა იყოს გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%. 1203.4.2.1 ქვეთავის მიხედვით, აბაზანების, საშხაპეების, სპას და მსგავსი სააბაზანო მოწყობილობების შემცველი ოთახები მექანიკურად უნდა ნიავდებოდეს. 1203.4.3 ქვეთავის თანახმად, სადაც ბუნებრივი განიავების წყაროს წარმოადგენს ისეთი ღიობები, რომლებიც ეზოებში ან შიგა ეზოებში გადის, ასეთი ეზოები ან შიგა ეზოები უნდა მოეწყოს 1206-ე ქვეთავის შესაბამისად. 406.6.2 ქვეთავის თანახმად, შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები უზრუნველყოფილი უნდა იყოს მექანიკური განიავების სისტემით. 1205.1 ქვეთავის თანახმად, ადამიანის მიერ დაკავებულ ნებისმიერ სივრცეს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი განათება 1205.2 ქვეთავის შესაბამისი გარე შუქგამტარი ღიობების საშუალებით ან უნდა ჰქონდეს 1205.3 ქვეთავის შესაბამისი ხელოვნული განათება. 1206-ე ქვეთავის შესაბამისად, გარე შუქგამტარი ღიობები უნდა გადიოდეს პირდაპირ საზოგადოებრივ გზაზე, ეზოში ან შიგა ეზოში. 1205.2 ქვეთავის თანახმად, შუქგამტარი მინიმალური სუფთა ფართობი არ უნდა იყოს ოთახის იატაკის ფართობის 8%-ზე ნაკლები.

1206.1 ქვეთავის თანახმად, ეს ქვეთავი ეხება ეზოებსა და შიგა ეზოებს, რომლებიც ესაზღვრება ბუნებრივი განათების ან განიავების უზრუნველმყოფ გარე ღიობებს. ასეთი ეზოები და შიგა ეზოები უნდა მდებარეობდეს იმავე საკუთრებაზე, რომელზეც დგას შენობა. 1206.2 ქვეთავის თანახმად, ეზოები არ უნდა იყოს 1.0 მ-ზე ნაკლები სიგანის შენობებისთვის, რომლებიც მიწის დონიდან ორ ან ნაკლებ სართულიანია. თუ შენობა მიწის დონიდან ორ სართულზე მაღალია, ყოველი დამატებითი სართულისთვის ეზოს სიგანე უნდა გაიზარდოს, სულ მცირე, 50 სმ-ით. მიწის დონიდან 14 სართულზე მაღალი შენობებისთვის, ეზოს აუცილებელი სიგანე უნდა გამოითვალოს მიწის დონიდან 14 სართულის საფუძველზე.

პროექტის მიხედვით, წესების მოთხოვნების შესაბამისად მექანიკური განიავება გათვალისწინებულია შემდეგ ადგილებში: სველი წერტილები, დერეფნები, რომლებთაც არ გააჩნიათ ბუნებრივი განიავება, ავტოსადგომ გარაჟში 406.6.2 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად. სხვა გამოყენებული ოთახები და სივრცეები ბუნებრივად ნიავდება ღიობების საშუალებით, რომელთა ფართობი გაღებულ მდგომარეობაში გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს აღემატება. ადამიანის მიერ დაკავებულ ყველა ოთახს და სივრცეს გააჩნია ბუნებრივი განათება კარ-ფანჯრებიდან, შუქგამტარი მინიმალური სუფთა ფართობი აღემატება ოთახების იატაკის ფართობის 8%-ს. ბუნებრივი განათების ან განიავების უზრუნველმყოფი ღიობების წინ ეზოს მინიმალური სიგანე აღემატება 5 სართულიანი შენობისთვის აუცილებელ 2.5 მ-ს. **განიავებასთან და განათებასთან დაკავშირებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

შენიშვნა 36: *ხელოვნური განათება უნდა უზრუნველყოფდეს საშუალო განათებულობას, რაც ოთახში იატაკის დონიდან 75 სმ სიმაღლეზე უნდა შეადგენდეს 107 ლუქსს.*

14. ლიფტების შეფასება

1702.1 ქვეთავის თანახმად, ლიფტის, მცირე ტვირთამწის (სამზარეულოს ლიფტის) და სხვა ლიფტის შახტების შემომზღუდავები 707-ე ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. 1702.1.1 ქვეთავის თანახმად, ლიფტის შახტის შემომზღუდავების ღიობები მე-7 თავის მოთხოვნების შესაბამისად უნდა იყოს დაცული. გამონაკლისი: 1703.2 ქვეთავის შესაბამისად ლიფტის კაბინის კარები და ლიფტის შახტის შემომზღუდავის კარები იატაკის დონეზე, რომელზეც ლიფტი ავარიისას მიდის, შეიძლება ღია დარჩეს საავარიო გამოძახების რეჟიმის I ფაზის განმავლობაში. 707.3.1 ქვეთავის თანახმად, შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი ცეცხლმედეგი ზღუდეების ცეცხლმედეგობის ხარისხი 713.4 ქვეთავს უნდა შეესაბამებოდეს. 713.4 ქვეთავის თანახმად, შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი, არანაკლებ, 2 საათი უნდა იყოს, თუ ისინი აკავშირებს ოთხ ან მეტ სართულს და, არანაკლებ, 1 საათი, თუ ოთხზე ნაკლებ სართულს აკავშირებს. შახტით დაკავშირებული სართულების რაოდენობაში მიწის დონის ქვედა სართულებიც უნდა ჩაითვალოს, მაგრამ არა - ანტრესოლები. შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი მათ მიერ გადაკვეთილი იატაკის კონსტრუქციების ცეცხლმედეგობის ხარისხზე ნაკლები არ უნდა იყოს, თუმცა აუცილებელი არ არის, 2 საათს აღემატებოდეს. შახტის შემომზღუდავები 703.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. 713.6 ქვეთავის შესაბამისად, თუ გარე კედლები შახტის აუცილებელი შემომზღუდავის ნაწილია, ისინი 705-ე ქვეთავის (გარე კედლების შესახებ) მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამ შემთხვევაში ცეცხლმედეგობის ხარისხიანი შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები არ გამოიყენება.

1702.4 ქვეთავის შესაბამისად, მიწის დონიდან ზემოთ ან ქვემოთ ოთხზე მეტსართულიან შენობებში არსებული ლიფტებიდან, სულ მცირე, ერთი ისეთი უნდა იყოს, რომ საგანგებო ვითარებისას სახანძრო-სამაშველო დანაყოფს ყველა იატაკზე მოხვედრა შეეძლოს. ლიფტის კაბინაში შესაძლებელი უნდა იყოს 60 სმ × 2,15 მ ზომის, არანაკლებ, 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცის განთავსება გახსნილ, თარაზულ მდგომარეობაში. ასეთ კარადაზე დატანილი უნდა იყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სიმბოლო (სიცოცხლის ვარსკვლავი). სიმბოლოს სიმაღლე 75 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს და დატანილი უნდა იყოს შიგნიდან ლიფტის შახტის შემომზღუდავის კარის ჩარჩოს ორივე მხარეს. პროექტში გათვალისწინებულია ლიფტის კაბინაში 60 სმ × 2,15 მ ზომის საკაცის შეტანის შესაძლებლობა.

შენიშვნა 37: *ლიფტის შახტის შემომზღუდავის კარის ჩარჩოს ორივე მხარეს დატანილი იქნეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სიმბოლო (სიცოცხლის ვარსკვლავი). სიმბოლოს სიმაღლე 75 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.*

1702.7 ქვეთავის შესაბამისად, ლიფტები არ უნდა განთავსდეს ისეთ შემომზღუდავში, რომელშიც გზა-კიბეებია. აღნიშნული მოთხოვნა დაცულია პროექტში.

1704.1 ქვეთავის თანახმად, ლიფტების და მცირე ტვირთამწის (სამზარეულოს ლიფტის) შახტები, რომლებიც სამზე მეტ სართულს კვეთს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჰაეროებით, რომელთაგან ხანძრისას კვამლი და ცხელი აირები გარეთ გაიწოვება. 1704.2 ქვეთავის თანახმად, საჰაეროები ლიფტის შახტის თავში უნდა იყოს და უნდა გადიოდეს გარეთ პირდაპირ ან არაწვადი არხების საშუალებით. არაწვადი არხები დასაშვებია გადიოდეს ლიფტის სამანქანო ოთახში, თუ ლიფტის შახტის ან სამანქანო ოთახის მიღმა მოქცეული არხის მონაკვეთები შემოზღუდულია კონსტრუქციით, რომლის ცეცხლმედეგობა ლიფტის შახტისთვის აუცილებელ ცეცხლმედეგობაზე ნაკლები არ არის. ბაგირების, კაბელებისა და ლიფტის მამოძრავებელი სხვა მოწყობილობებისთვის სამანქანო ოთახის იატაკში დატოვებული ღიობები ყველა მხარეს, არაუმეტეს, 5 სმ თავისუფალ სივრცეს უნდა უზრუნველყოფდეს. 1704.3 ქვეთავის თანახმად, გარდა 1704.3.1 ქვეთავში განსაზღვრული შემთხვევისა, საჰაეროს ფართობი არ უნდა იყოს ლიფტის შახტის ფართობის 3,5%-ზე ნაკლები ან 0,28 კვ.მ ლიფტის თითოეული კაბინისთვის და, არანაკლებ, 3,5%, არც 0,047 კვ.მ-ზე ნაკლები მცირე ტვირთამწის (სამზარეულოს ლიფტის) თითოეული კაბინისთვის. საჰაეროს საერთო ფართობის, არანაკლებ, ერთი მესამედი ყოველთვის ღია უნდა იყოს. საჰაეროს ფართობის დახურულ ნაწილებში უნდა იყოს ღიობები, შემინული, არაუმეტეს, 3,2 მმ სისქის ნაწრთობი მინით. პროექტით გათვალისწინებულია ლიფტის შახტის განიავება შახტის თავში არსებული 2 სთ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი არხით, რომელიც მთავრდება 0.3 კვ.მ. ფართობის საჰაერო ღიობით.

პროექტის მიხედვით ლიფტი აკმაყოფილებს წესების შესაბამის მოთხოვნებს.

შენიშვნა 38: *გათვალისწინებული იქნეს 1701.2 ქვეთავის მოთხოვნები:*

1701.2 მითითებული სტანდარტები. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წესებში სხვაგვარადაა განსაზღვრული, ლიფტებისა და გადამზიდი სისტემების, ასევე, მათი კომპონენტების დაგეგმარება, აგება, დაყენება, გადაკეთება, შეკეთება და მოვლა ASME A 17.1, ASME A90.1, ALI ALCTV და ASCE 24-ის შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

15. შემოზღუდული გარაჟის შეფასება

406.6.2 ქვეთავის შესაბამისად, შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები უზრუნველყოფილი უნდა იყოს მექანიკური განიავების სისტემით. პროექტით გათვალისწინებულია მექანიკური განიავება შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში.

შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში ავტოსაშხეფი სისტემის შეფასებისთვის იხ. საექსპერტო დასკვნის მე-10 პუნქტი.

406.9.3.1 ქვეთავის თანახმად, ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი თითოეული ადგილის მინიმალური სიგანე 2,5 მ უნდა იყოს, ამავე ქვეთავის გამონაკლისის მე-2 პუნქტის მიხედვით, 406.9.4.3 ცხრილის გამოყენების შემთხვევაში 2,4 მ. 406.9.3.2 ქვეთავის თანახმად, ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი თითოეული ადგილის სიგრძე, სულ მცირე, 5,5 მეტრი უნდა იყოს, ხოლო ამავე ქვეთავის გამონაკლისის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მისადგომი

ავტოსადგომები უნდა დაგეგმარდეს ICC A 117.1-ის მიხედვით. პროექტით შემოზღუდულ გარაჟში გათვალისწინებული ავტოსადგომების ზომებია 2.5 X 5.5 მ, გარდა მისაწვდომი ავტოსადგომისა, რომლის სიგრძეა 5.5 მ, ხოლო სიგანე - 4 მ, რაც შეესაბამება ICC A 117.1-ით მოთხოვნილ მინიმალურ ზომებს.

ასევე, გათვალისწინებულია 406.9.4 ქვეთავით ავტოსადგომი ნაგებობისთვის განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის:

- 406.9.4.1 ქვეთავის თანახმად, ყველა ავტოსადგომს უნდა ჰქონდეს ერთი ან ერთზე მეტი საავტომობილო გზა, რომლის სიგანეა: 1. ცალმხრივი შესასვლელ/გასასვლელისთვის, სულ მცირე, 3,5 მ; 2. ორმხრივი შესასვლელ/გასასვლელისთვის, სულ მცირე, 6,5 მ, ხოლო ამავე ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისად, 1. კერძო მოხმარების ავტოსადგომის საავტომობილო გზები, სულ მცირე, 2,8 მეტრი;
- 406.9.4.2 ქვეთავის მიხედვით, ავტოსადგომის საავტომობილო გზის მოხვევის შიგა რადიუსი სულ მცირე, 3,5 მ-ის, ხოლო საავტომობილო პანდუსისათვის - 4,5 მ. ავტოსადგომების ზომების, განლაგების და გასასვლელების მიმართ მოთხოვნები განისაზღვრება 406.9.4.3.1 ცხრილის მიხედვით;
- 406.9.4.3.1 ცხრილის შესაბამისად, 2.5 მ სიგანის ავტოსადგომის გასასვლელის მიმართ 80-90° კუთხით განთავსებისას გასასვლელის მინიმალური სიგანე უნდა იყოს 6.0 მ, ავტოსადგომის მინიმალური სიგრძე - 5.5 მ;
- 406.9.4.4 ქვეთავის მიხედვით, ავტოსადგომის საავტომობილო გზის ან პანდუსის ქანობი 16%-ს არ უნდა აღემატებოდეს. საავტომობილო გზის ან პანდუსის 12%-დან 16%-მდე დახრის შემთხვევაში, საავტომობილო გზის ან პანდუსისა და თარაზული სავალი ზედაპირის შეხების ადგილიდან, სულ მცირე, 3,5 მეტრ მანძილზე საავტომობილო გზის ან პანდუსის ქანობი უნდა იყოს 8%-დან 10%-მდე, ხოლო საავტომობილო გზის ან პანდუსის თარაზულ სავალ ზედაპირზე წრიული გადასვლისის, წრის რადიუსი, სულ მცირე, 20 მეტრი უნდა იყოს, რათა არ მოხდეს ავტომობილის გადაადგილებისას მისი დაზიანება;
- 406.9.4.7 ქვეთავის თანახმად, ავტოსადგომთან მისადგომი უნდა იყოს, სულ მცირე, ორმხრივი შესასვლელ/გასასვლელი ან ცალმხრივი შესასვლელი და ცალმხრივი გამოსასვლელი საავტომობილო გზა ან პანდუსი. ამავე ქვეთავის გამოსაკლისის თანახმად, ორმოცდაათზე ნაკლებადგილიან ავტოსადგომთან მიდგომა დასაშვებია ცალმხრივი შესასვლელ/გასასვლელიანი საავტომობილო გზით ან პანდუსით.

პროექტის მიხედვით, გარაჟში გათვალისწინებულია 22 ადგილი, მას ემსახურება 3.5 მ სიგანის 11% ქანობიანი პანდუსი, რომლის მოხვევის შიგა რადიუსია 4.5 მ, ავტოსადგომების ზომებია 2.5 X 5.5 მ, გასასვლელის მიმართ განლაგება - 90° კუთხით და გასასვლელის სიგანე აღემატება 6 მ-ს, რაც შესაბამისობაშია 406.9.4 ქვეთავის მოთხოვნებთან.

შემოზღუდული გარაჟი აკმაყოფილებს წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შენიშვნა 39: *ყველა ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილები უნდა დაიხაზოს.*

დასკვნა:

ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქ. N4-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.19.36.014.159, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დეტალურ არქიტექტურულ პროექტს ეძლევა დადებითი დასკვნა „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ექსპერტიზაში განსაზღვრული შენიშვნებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მითითებების შესრულება. ექსპერტი არ არის პასუხისმგებელი შენიშვნებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მითითებების შეუსრულებლობით გამოწვეულ შედეგებზე.

ექსპერტი **მაია ჩხაიძე**

ექსპერტი **მარია მარსაგიშვილი**

დ ა ს კ ვ ნ ა

N 18/21 **29.12.2021წ.**

ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქ. N4-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.19.36.014.159, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე

ექსპერტი: მარია მარსაგიშვილი
ექსპერტი: მაია ჩხაიძე

თბილისი 2021

დამკვეთი: ლევან მამისაშვილი
საპროექტო ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ. N4, მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N01.19.36.014.159
საპროექტო ობიექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
მშენებლობის სახეობა: ახალი მშენებლობა

წინამდებარე ექსპერტიზა შესრულებულია მოქ. ლევან მამისაშვილთან 2021 წლის 28 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტექნიკური რეგლამენტის - "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა კლასის შენობა-ნაგებობაზე, გარდა: ა) ინდივიდუალური ერთ ან ორ ერთეულიანი (ბინიანი) საცხოვრებელი სახლებისა და მათი დამხმარე ნაგებობების, ასევე მათთან დაკავშირებული ადგილებისა და საშუალებებისა; ბ) II, III, IV, V კლასის აშენებული და მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა.

წინამდებარე დასკვნა ადგენს ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქ. N4-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.19.36.014.159, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დეტალური არქიტექტურული პროექტის (შემდგომში - "პროექტი") შესაბამისობას საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" (შემდგომში - „სტანდარტების") მოთხოვნებთან.

შეფასებას დაექვემდებარა დამკვეთის მიერ ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია. დასკვნა მომზადებულია 2 თანაბარ ეგზემპლარად, სკანირებული ელექტრონული ვერსიის სახით pdf ფორმატში, ექსპერტიზის წინაშე წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია შენახულია ექსპერტების მიერ, სქემატური ნახაზები თანდართულია დამკვეთისთვის გადაცემული დასკვნის ელექტრონულ ვერსიაზე და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

შეფასებას დაქვემდებარებულ საპროექტო დოკუმენტაციაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში საჭიროა შესრულდეს შეცვლილი არქიტექტურული პროექტის ხელახალი შეფასება. ექსპერტები პასუხს არ აგებენ არქიტექტურულ პროექტში ნებისმიერი ცვლილების, ასევე მშენებლობის პროცესში წინამდებარე შეფასებას დაქვემდებარებული პროექტისგან განსხვავებით სამუშაოების განხორციელების შედეგებზე.

მისაწვდომი სვლაგეზების შეფასება

402.2 ქვეთავის შესაბამისად, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა მოიცავდეს ერთ ან მეტ ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტს: არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებსა და გზა-კარებს, პანდუსებს, ბორდიურის პანდუსებს გაშლადი გვერდების გამოკლებით, ლიფტებსა და ბაქან-ლიფტებს. მისაწვდომი სვლაგეზის ყველა კომპონენტი უნდა შეესაბამებოდეს ამ სტანდარტის შესაბამის ნაწილს.

403.3 ქვეთავის თანახმად, სავალი ზედაპირების დახრილი სვლა არ უნდა იყოს 1:20-ზე მეტად დახრილი. სავალი ზედაპირის განივი დახრა არ უნდა აღემატებოდეს 1:48-ს.

403.4 ქვეთავის შესაბამისად, დონე უნდა შეიცვალოს 303-ე ქვეთავის შესაბამისად.

403.5 ქვეთავის თანახმად, მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე უნდა მოეწყოს საჭიროებისამებრ 403.5.1, 403.5.2, 403.5.3 ან 403.5.4 ქვეთავის შესაბამისად.

403.5.1 ქვეთავის თანახმად, მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შენობაში უნდა იყოს არაუმცირეს 900 მმ. მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შენობის გარეთ უნდა იყოს არაუმცირეს 1200 მმ.

403.5.2.1 ქვეთავის თანახმად, ახალ შენობებსა და მისაწვდომ საშუალებებში, სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს საგნის/სივრცის გარშემო და თუ ასეთი საგნის/სივრცის სიგანე 1300 მმ ან მეტია, მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას უნდა იყოს 403.5.1 ქვეთავის შესაბამისი. სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს საგნის/სივრცის გარშემო და თუ ასეთი საგნის/სივრცის სიგანე 1300 მმ-ზე ნაკლებია, მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას უნდა აკმაყოფილებდეს რომელიმე შემდეგ კრიტერიუმს:

1. თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას უნდა იყოს არაუმცირეს 900 მმ, მოსატრიალებელ არეალში არაუმცირეს 1500 მმ, ხოლო მოტრიალების შემდგომ არაუმცირეს 900 მმ.
2. თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას უნდა იყოს არაუმცირეს 1070 მმ, მოსატრიალებელ არეალში არაუმცირეს 1200 მმ, ხოლო მოტრიალების შემდგომ არაუმცირეს 1070 მმ.
3. თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას უნდა იყოს არაუმცირეს 1100 მმ, მოსატრიალებელ არეალში არაუმცირეს 1100 მმ, ხოლო მოტრიალების შემდგომ არაუმცირეს 1100 მმ.

პროექტის შესაბამისად, მისაწვდომ სვლაგეზზე არ არის გათვალისწინებული 2%-ზე მეტი დახრა, მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური სიგანე შენობაში აღემატება 90 სმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 120 სმ-ს, მოტრიალებისთვის აუცილებელი ადგილები შენობაში მოიცავს 150 სმ დიამეტრის თავისუფალ არეალებს 403.5.2.1 ქვეთავის 1-ელი კრიტერიუმის შესაბამისად, ხოლო მოსატრიელებელი შენობის გარეთ შეესაბამება ამავე ქვეთავის კრიტერიუმებს.

404.2 ქვეთავის თანახმად, ხელით გასაღები კარი და გზა-კარი, ასევე, ხელით სამართავი ჭიშკრები, რაც მომხმარებელთა გასასვლელად გამოიყენება, უნდა აკმაყოფილებდეს 404.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

4042.1 ქვეთავის თანახმად, ორფრთიანი გზა-კარის, სულ მცირე, ერთი აქტიური ფრთა უნდა შეესაბამებოდეს 404.2.2 და 404.2.3 ქვეთავებს.

404.2.2 ქვეთავის თანახმად, გზა-კარის თავისუფალი ღიობი უნდა იყოს არაუმცირეს 820 მმ სიგანის. ორმხრივ მოძრავ კარებიანი გზა-კარის თავისუფალი ღიობის სიგანე უნდა გაიზომოს კარის პირიდან გაჩერების ადგილამდე, როდესაც კარი ღიაა 90 გრადუსით. ღიობებს, კარსა და უკარო გზა-კარს, რომელთა სიღრმე 600მმ-ია, უნდა ჰქონდეს არაუმცირეს 900 მმ სიგანის თავისუფალი ღიობი. ღიობის თავისუფალ სიგანეში არ უნდა იყოს გამონაშვერები იატაკიდან 860 მმ-ზე დაბლა. ღიობის თავისუფალ სიგანეში არსებული გამონაშვერები იატაკიდან 860 მმ-დან 2050 მმ-მდე სიმაღლეზე არ უნდა აღემატებოდეს 100 მმ-ს. გამონაკლისი: 1. კარის მიმხურავები და კარის შემჩერებლები დასაშვებია, განთავსდეს იატაკიდან არაუმცირეს 1980 მმ სიმაღლეზე. 2. გადაკეთებისას დასაშვებია, ღიობის აუცილებელ თავისუფალ სიგანეში, საკეტის მხარეს შემჩერებელთან, მდებარეობდეს არაუმეტეს 16 მმ ნაშვერი.

404.2.3 ქვეთავის თანახმად, კარებთან მინიმალური თავისუფალი სივრცე, მანევრირებისთვის უნდა შეესაბამებოდეს 404.2.3 ქვეთავს. თავისუფალი სივრცე მანევრირებისთვის უნდა მოიცავდეს გზა-კარის თავისუფალი ღიობის სრულ სიგანეს და საკეტებისა და ანჯამებისთვის აუცილებელ სივრცეს.

404.2.3.1 ქვეთავის თანახმად, მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი უნდა შეესაბამებოდეს 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ უნდა იყოს 1:48-ზე მეტად დახრილი. 302.1 ქვეთავის თანახმად, იატაკის ზედაპირები უნდა იყოს მდგრადი, მყარი და არასრიალა და უნდა შეესაბამებოდეს 302-ე ქვეთავს. იატაკის ზედაპირებზე დონის ცვლილება უნდა შეესაბამებოდეს 303-ე ქვეთავს.

404.2.4 ქვეთავის მიხედვით, გზა-კარების ზღურბლები დასაშვებია იყოს არაუმეტეს 13 მმ სიმაღლის. გზა-კარებთან შეცვლილი დონეები და ზღურბლები უნდა შეესაბამებოდეს 302-ე და 303-ე ქვეთავებს.

407.4 ქვეთავის თანახმად, ლიფტის კაბინები უნდა შეესაბამებოდეს 407.4 ქვეთავს. 407.4.1 ქვეთავის შესაბამისად, კაბინის შიგა ზომები უნდა შეესაბამებოდეს 407.4.1-ე ცხრილს.

407.4.1 ცხრილის შესაბამისად, კარის ნებისმიერი მდებარეობისთვის, კარის თავისუფალი ღიობის სიგანეა - 900 მმ, კაბინის შიგნით, თუ გვერდიდან გვერდამდე ზომა უდრის 1370 მმ-ს, მაშინ კაბინის შიგნით, უკანა კედლიდან წინა კედლამდე უნდა იყოს 2000 მმ, ხოლო კაბინის შიგნით, უკანა კედლიდან კარის შიდა მხარემდე - 2000 მმ.

პროექტის მიხედვით, გზა-კარების, მათ შორის ორფრთიანი კარების თითო ფრთის მინიმალური თავისუფალი სიგანეა 82 სმ, კარებთან მანევრირებისთვის აუცილებელი სივრცე შეესაბამება 404.2.3 ქვეთავის მოთხოვნებს, მისაწვდომ სვლაგეზზე არ არის გათვალისწინებული ზღურბლები. ლიფტის კაბინის შიდა ზომებია 1500 მმ გვერდიდან გვერდამდე და 2330 მმ უკანა კედლიდან წინა კედლამდე, კარის თავისუფალი ღიობის სიგანე არის 920 მმ.

შენიშვნა 1: *იატაკის ზედაპირები უნდა იყოს მდგრადი, მყარი და არასრიალა.*

შენიშვნა 2: *გათვალისწინებული იქნეს შემდეგი ქვეთავების მოთხოვნები:*

404.2.6 კარის კავეული;

404.2.6.1 კავეულის სიმაღლე;

404.2.7 დახურვის სიჩქარე;

404.2.8 კარის გასაღებად საჭირო ძალა;

404.2.9 კარის და ჭიშკრის ზედაპირი;

407.2 მოთხოვნები ლიფტის ბაქნისადმი;

407.2.2 ფოიეს სიგნალები;

407.2.3 ლიფტის შახტის ნიშნები;

407.3 ლიფტის კართან დაკავშირებული მოთხოვნები.

წყალსადენის ელემენტების და მოწყობილობების შეფასება

603.1 ქვეთავის თანახმად, ტუალეტისა და სააბაზანო მისაწვდომი ოთახები უნდა შეესაბამებოდეს 603-ე ქვეთავს.

603.2.1 ქვეთავის შესაბამისად, ოთახში უნდა არსებობდეს მოსატრიალებელი სივრცე. მოთხოვნილი მოსატრიალებელი სივრცე არ უნდა იყოს ტუალეტის ნაკვეთურებში.

603.2.2 ქვეთავის შესაბამისად, გაღებისას კარები არ უნდა იჭრებოდეს იატაკის თავისუფალ სივრცეში ან მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ ფართობზე.

პროექტის მიხედვით, მისაწვდომ ტუალეტის ოთახებში არსებობს მოსატრიელებელი სივრცე. გაღებისას კარები არ იჭრება იატაკის თავისუფალ სივრცეში და მოწყობილობებთან არსებულ თავისუფალ ფართობზე.

604.1 ქვეთავის შესაბამისად, მისაწვდომი უნიტაზები და ტუალეტის ნაკვეთურები უნდა შეესაბამებოდეს 604-ე ქვეთავს. ნაკვეთურები, სადაც წყალსადენ სისტემასთან მიერთებულია ერთზე მეტი მოწყობილობა, უნდა შეესაბამებოდეს 603-ე ქვეთავს. ეტლისთვის მისაწვდომი ნაკვეთურები უნდა შეესაბამებოდეს 604.9 ქვეთავს. ამბულატორიისთვის მისაწვდომი ნაკვეთურები უნდა შეესაბამებოდეს 604.10 ქვეთავს.

604.2 ქვეთავის შესაბამისად, უნიტაზი უნდა მდებარეობდეს კედლის ან ტიხრის ერთ მხარეს ბოლო ნაწილში. უნიტაზის შუახაზი კედლის ან ტიხრის მხრიდან, არაუმცირეს, 400 მმ- ში და, არაუმეტეს, 450 მმ-ში უნდა მდებარეობდეს. 604.9 ქვეთავში განსაზღვრულ ამბულატორიისთვის მისაწვდომ ნაკვეთურებში მდებარე უნიტაზების შუახაზები კედლის ან ტიხრის მხრიდან, არაუმცირეს, 430 მმ-ში და, არაუმეტეს, 480 მმ-ში უნდა მდებარეობდეს.

604.3 ქვეთავის ("თავისუფალი სივრცე") შესაბამისად:

604.3.1 თავისუფალი სივრცის სიგანე. გვერდითა კედლიდან პერპენდიკულარულად გაზომვისას უნიტაზის გარშემო დატოვებულ უნდა იქნას, არაუმცირეს, 1500 მმ თავისუფალი სივრცე.

604.3.2 თავისუფალი სივრცის სიღრმე. უკანა კედლიდან პერპენდიკულარულად გაზომვისას უნიტაზის გარშემო დატოვებული უნდა იქნას, არაუმცირეს, 1400 მმ სიღრმის თავისუფალი სივრცე.

604.3.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია, უნიტაზის გარშემო აუცილებელი თავისუფალი სივრცე ემთხვეოდეს უნიტაზის, მასთან დაკავშირებული ხელმოსაჭიდი ძელების, ქაღალდის დისპენსერების, ჰიგიენური საფენების ჩასაყრელების, ქურთუკის საკიდების, თაროების, მისაწვდომი სვლაგეზების, სხვა მოწყობილობებთან არსებული იატაკის თავისუფალი სივრცისა და მოსატრიალებელი სივრცის ფართობებს. უნიტაზის გარშემო თავისუფალ სივრცეში არ უნდა არსებობდეს სხვა მოწყობილობები ან დაბრკოლებები.

604.4 ქვეთავის შესაბამისად, დასაჯდომის თავამდე გაზომვისას, უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე იატაკიდან უნდა იყოს, არაუმცირეს, 430 მმ და, არაუმეტეს, 480 მმ. დასაჯდომები აწეული მდგომარეობიდან მყისიერად არ უნდა ვარდებოდეს.

604.5 ქვეთავის ("დამაგრებული ხელმოსაჭიდი ძელები") გვერდითა კედელზე თანახმად, უნიტაზებთან არსებული ხელმოსაჭიდი ძელები უნდა შეესაბამებოდეს 609-ე ქვეთავს და მოწყობილი უნდა იყოს 604.5.1 და 604.5.2 ქვეთავების შესაბამისად. ხელმოსაჭიდი ძელები უნდა მოეწყოს უნიტაზის უკან და გვერდით მდებარე კედლებზე.

604.5.1 ქვეთავის ("დამაგრებული ხელმოსაჭიდი ძელები") თანახმად, გვერდითა კედელზე დამაგრებული ხელმოსაჭიდი ძელები, უნდა მოიცავდეს თარაზულ ძელს 604.5.1.1 ქვეთავის შესაბამისად და შვეულ ხელმოსაჭიდ ძელს 604.5.1.2 ქვეთავის შესაბამისად. ძირითადად, საბავშვო გამოყენების უნიტაზთან არსებული შვეული ხელმოსაჭიდი ძელი უნდა შეესაბამებოდეს 609.4.2 ქვეთავს.

604.5.1.1 ქვეთავის ("თარაზული ხელმოსაჭიდი ძელები. ") თანახმად, არაუმცირეს 1070 მმ სიგრძის თარაზული ხელმოსაჭიდი ძელები უნდა მდებარეობდეს უკანა კედლიდან არაუმეტეს 300 მმ-დან და გაგრძელდეს უკანა კედლამდე არაუმცირეს 1370 მმ-მდე.

604.5.1.2 ქვეთავის ("დამაგრებული ხელმოსაჭიდი ძელები") თანახმად, არაუმცირეს, 450 მმ სიგრძის შვეული ხელმოსაჭიდი ძელის ქვედა პირი იატაკიდან 990 მმ-დან 1040 მმ-მდე სიმაღლეზე უნდა მდებარეობდეს, ძელის შუახაზი კი უკანა კედლიდან 990 მმ-დან-1040 მმ-მდე.

604.5.2 ქვეთავის ("ხელმოსაჭიდი ძელები უკანა კედელზე") თანახმად, დამაგრებული ხელმოსაჭიდი ძელები, უნდა იყოს

1. არაუმცირეს, 900 მმ სიგრძის,

2. მდებარეობდეს არაუმეტეს 170 მმ-დან გვერდითა კედლიდან, და

3. გრძელდებოდეს არაუმცირეს 1070 მმ-ზე გვერდითა კედლიდან.

პროექტის მიხედვით, უნიტაზების მდებარეობა შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნებს, აუცილებელი თავისუფალი სივრცე შეესაბამება 604.3 ქვეთავის მოთხოვნებს. უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე შეესაბამება 604.4 ქვეთავის მოთხოვნებს. ხელმოსაჭიდი ძელების მდებარეობა შეესაბამება 604.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

შენიშვნა 3: გათვალისწინებული იქნეს შემდეგი ქვეთავების მოთხოვნები:

604.6 ჩარეცხვის მართვა.
604.7 დისპენსერები.
604.7.1 მდებარეობა.
604.8 ქურთუკის საკიდები და თაროები.

606.1 ქვეთავის შესაბამისად, ხელსაბანები და ნიჟარები უნდა შეესაბამებოდეს 606 ქვეთავს.

606.2 ქვეთავის თანახმად, უნდა მოეწყოს 300.3 ქვეთავის შესაბამისი იატაკის თავისუფალი სივრცე, რომელსაც მისადგომი ექნება წინიდან. დატოვებულ უნდა იქნას სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის, 306-ე ქვეთავის შესაბამისად. გადავსების საწინააღმდეგო მილი არ უნდა იქნას გათვალისწინებული მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის არეალის განსაზღვრისას.

სტანდარტებში არ არსებობს 606.2 ქვეთავში მითითებული ქვეთავი 300.3, ამასთან, 304.3 ქვეთავის თანახმად, მოსატრიალებელი სივრცეები უნდა შეესაბამებოდეს 304.3.1 ან 304.3.2 ქვეთავს.

304.3.1 ქვეთავის („წრიული სივრცე“) თანახმად:

304.3.1.1. ახალი შენობები და მისაწვდომი საშუალებები. ახალ შენობებსა და მისაწვდომ საშუალებებში მოსატრიალებელი სივრცე უნდა იყოს, არაუმცირეს 1700 მმ დიამეტრის წრიული სივრცე.

304.3.1.1.1 გადაფარვა. მოსატრიალებელი სივრცე დასაშვებია მოიცავდეს 306-ე ქვეთავის შესაბამის მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის განსაზღვრულ თავისუფალ სივრცეს. იქ სადაც მოსატრიალებელი სივრცე მოიცავს მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის განსაზღვრულ თავისუფალ სივრცეს მოწყობილობების ქვემოთ, მათი გადაფარვა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგს:

1. გადაფარვის სიღრმე არ უნდა აღემატებოდეს 250 მმ-ს, და
2. გადაფარვა არ უნდა აღემატებოდეს თავისუფალ სივრცეს მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის; და
3. გადაფარვა დასაშვებია მხოლოდ თავისუფალი მოსატრიალებელი სივრცის საზღვრებში, სურათი 304.3.1.1-ის შესაბამისად.

304.3.1.2.1 გადაფარვა. მოსატრიალებელი სივრცე დასაშვებია მოიცავდეს 306-ე ქვეთავის შესაბამის მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის განსაზღვრულ თავისუფალ სივრცეს.

304.3.2. ქვეთავის („T-ს ფორმის სივრცე“) თანახმად:

304.3.2.1 ახალი შენობები და მისაწვდომი საშუალებები. ახალ შენობებსა და მისაწვდომ საშუალებებში მოსატრიალებელი სივრცე დასაშვებია იყოს T-ს ფორმის და აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმს:

1. T-ს ფორმის თავისუფალი სივრცე, არაუმცირეს 1700 მმ სიგანისა და 1500 მმ სიღრმის, ორი მხრითა და არა უმცირეს 900 მმ სიგანის ძირით. თითოეული მიმართულებით, T-ს მხრები არაუმცირეს 400 მმ-ით თავისუფალი უნდა იყოს, ხოლო მხრებიდან ძირამდე თავისუფალი არეალი უნდა იყოს არაუმცირეს 600 მმ-ზე. თითოეული მხარისა და ძირის კვეთისას შიდა კუთხეები უნდა იყოს დაცერებული არაუმცირეს 200 მმ-ით როგორც მხარის, ისე ძირის მიმართ.
2. T-ს ფორმის თავისუფალი სივრცე, არაუმცირეს 1600 მმ სიგანისა და 1500 მმ სიღრმის, არაუმცირეს ორი 960 მმ სიგანის მხრითა და არაუმცირეს 1040 მმ სიგანის ძირით. თითოეული მხარი ურთიერთსაპირისპიროდ, ძირის ორივე მხარეს არაუმცირეს 280 მმ-ით თავისუფალი უნდა იყოს, ხოლო თითოეული მხრიდან ძირამდე თავისუფალი სივრცე უნდა იყოს არაუმცირეს 540 მმ.

3. T-ს ფორმის თავისუფალი სივრცე, არაუმცირეს 1600 მმ სიგანისა და 1500 მმ სიღრმის, ორი მხრითა და 1000 მმ სიგანის ძირით. T-ს მხრები არაუმცირეს 300 მმ-ით თავისუფალი უნდა იყოს, ხოლო მხრებიდან ძირამდე თავისუფალი სივრცე უნდა იყოს არაუმცირეს 500 მმ-ზე.
304.3.2.1.1 გადაფარვა. მოსატრიალებელი სივრცე, ძირის ან ერთი მხრის არეალში დასაშვებია მოიცავდეს 306-ე ქვეთავის შესაბამის თავისუფალ სივრცეს მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის.

606.3 ქვეთავის თანახმად, ხელსაბანებისა და ნიჟარების წინა მხარე იატაკიდან, არაუმეტეს, 860 მმ სიმაღლეზე უნდა იყოს რკალის ან დახლის ზედაპირის ყველაზე მაღალ წერტილში გაზომვისას.

პროექტის მიხედვით, ხელსაბანების წინ გათვალისწინებულია თავისუფალი სივრცე წინიდან მისადგომით. დატოვებულია სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის, 306-ე ქვეთავის შესაბამისად. ხელსაბანების წინა მხარე იატაკიდან არაუმეტეს 86 სმ სიმაღლეზეა.

შენიშვნა 4: გათვალისწინებული იქნეს 606.5 ("ონკანები") ქვეთავის მოთხოვნები.

ა და ბ ტიპის საცხოვრებელი ერთეულების შეფასება

ა ტიპის ერთეულში, 1103.3.2 ქვეთავის თანახმად, ყველა ოთახში, რომელსაც მისაწვდომი სვლაგეზი ემსახურება, უნდა იყოს მოსატრიალებელი სივრცე. გამონაკლისები: 1. მოსატრიალებელი სივრცე საჭირო არ არის იმ ტუალეტებსა და სააბაზანოებში, რომლებიც დასაშვებია, რომ არ შეესაბამებოდეს 1103.11.2 ქვეთავს. 2. მოსატრიალებელი სივრცე არ მოითხოვება იმ ტანსაცმლის სათავსებსა და საკუჭნაოებში, რომელთა სიღრმე არაუმეტეს 1200 მმ-ია.

1103.11.2 ქვეთავის თანახმად, სულ მცირე, ერთი ტუალეტის და სააბაზანო მოწყობილობა უნდა იყოს 1103.11 ქვეთავის შესაბამისი. სულ მცირე, ერთი ხელსაბანი, ერთი უნიტაზი და აბაზანა ან საშხაპე მოწყობილობა ერთეულის საზღვრებში უნდა იყოს 1103.11 ქვეთავის შესაბამისი. მისაწვდომი მოწყობილობები უნდა მდებარეობდეს ერთ ტუალეტის/სააბაზანოს ფართობზე ისე, რომ მოწყობილობებს შორის გასავლელად ერთეულის სხვა ნაწილებს შორის გავლა საჭირო არ იყოს.

1103.11.2.1 ქვეთავის თანახმად, გაღებისას კარები არ უნდა იჭრებოდეს იატაკის თავისუფალ სივრცეში ან მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.

